სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში დაზღვევის სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებით მედიატორის როლის შესრულება, რომლის ფარგლებშიც მოხდება მზღვეველის, დაზღვეულისა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა;

ჯანმრთელობის დაზღვევის ურთიერთობებში მზღვეველთა და დაზღვეულთა უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

1.1.3 დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა (პროგრამული კოდი 35 01 03)

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი;

ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით გადამდები და არაგადამდები დაავადებებისა და რისკების გამოვლენას, საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებას, სამედიცინო სტატისტიკის წარმოებას, დაავადებათა კონტროლსა და პრევენციას;

ლაბორატორიული საქმიანობა, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების ორგანიზება და ფუნქციონირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობა, ლაბორატორიების ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დეზინფექციის ეფექტიანობისა და სტერილობის განსაზღვრა, ეპიდემიოლოგიური სტანდარტების შემუშავება;

იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და მისი განხორციელების ზედამხედველობა.

1.1.4 სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01 04)

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება და მისი განხორციელების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირებას, შესაბამისი საინფორმაციო ბაზების შემუშავებასა და მართვას;

სოციალური დახმარების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული) დახმარების მიმღებ ბენეფიციართა დადგენა, აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება;

ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად/შვილობილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის პროცესის კოორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და შვილად აყვანის მსურველთა ცენტრალური საინფორმაციო ბანკის შექმნა;

მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო მომსახურების შესყიდვა და მათი განხორციელების მონიტორინგი.

#### 1.1.5 სახელმწიფო ზრუნვის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 05)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ხანდაზმულთათვის და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოსამედიცინო რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი პირების ინსტიტუციური პატრონაჟი – მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, დღის და საღამოსის მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება;

დაგეგმილია დიდი ინსტიტუციური დაწესებულებების ნაცვლად ბავშვთა მცირე, საოჯახო ტიპის სახლებში აღზრდის უზრუნველყოფა, რომელთა გამართული ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია დედობილ-მამობილის სწორი შერჩევა, მათი სათანადო მომზადება-გადამზადება და საქმიანობის მუდმივი მონიტორინგი;

სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების დეინსტიტუციონალიზაციის თვალსაზრისით, ყველაზე მწვავე პრობლემაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა კონტინგენტი, რომლებიც, ძირითადად, დაბადებიდან ხვდებიან სამზრუნველო დაწესებულებებში, ხოლო მათი ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების, გაშვილების ან მინდობით აღზრდის აღბათობა საკმაოდ მცირეა, რისი გათვალისწინებითაც, ზრუნვის სხვა, ალტერნატიული ფორმების განვითარების ხელშეწყობასთან ერთად, ამ კატეგორიის ბავშვებისათვის შენარჩუნდება აღნიშნული სერვისი, მოხდება მომსახურების ფორმისა და ხარისხის სრულყოფა. გაგრძელდება და გაძლიერდება ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი.

#### 1.1.6 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და დახმარება (პროგრამული კოდი 35 01 06)

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის პრევენცია, ამ საკითხებზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოსახლეობის ინფორმირება, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან შეხვედრების გამართვა;

ადამიანით ვაჭრობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, მათი თავშესაფრით და სხვადასხვა სერვისით უზრუნველყოფა, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბენეფიციარებისათვის კომპენსაციების გაცემა.

#### 1.1.7 ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის მართვა (პროგრამული კოდი 35 01 12)

ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობისა და ხანგრძლივი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სისტემის განვითარება;

თანამედროვე სტანდარტების სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა, შესაბამისი პერსონალის პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება და ნარკომანიით დაავადებულ პირთა გრძელვადიანი სარეაბილიტაციო პროგრამებითა და სერვისებით უზრუნველყოფა.

## 1.2 სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02)

ქვეყანაში სიღარიბის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრა, სოციალური რისკების განეიტრალება და ხანდაზმული მოქალაქეებისათვის ღირსეული სიბერის უზრუნველყოფა;

ეფექტიანი და ფინანსურად მდგრადი საპენსიო და სოციალური დახმარების სისტემის განვითარებით მოწყვლადი ჯგუფების საარსებოდ აუცილებელი ფულადი შემოსავლებითა და სოციალური სერვისებით უზრუნველყოფა.

### 1.2.1 საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02 01)

საზოგადოების გარკვეული ფენების საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სოციალური გასაცემებით დროული და სრული მოცულობით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცემა სახელმწიფო პენსიები, სახელმწიფო კომპენსაციები და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიები, ასევე საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სხვადასხვა სოციალური გასაცემელი;

ქვეპროგრამის ბენეფიციარია დაახლოებით 750.0 ათასი მოქალაქე.

### 1.2.2 სოციალური დახმარებები (პროგრამული კოდი 35 02 02)

ქვეყანაში სიღარიბის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრისა და სოციალური რისკების განეიტრალების მიზნით სხვადასხვა სოციალური გასაცემლის დაფინანსება, კერძოდ, სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის საარსებო შემწეობების, ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა და დევნილთა ფულადი დახმარებების, რეინტეგრაციის შემწეობის, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სოციალური დახმარებების გაცემა;

ქვეპროგრამის ბენეფიციარია დაახლოებით 660.0 ათასი მოქალაქე.

### 1.2.3 სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (პროგრამული კოდი 35 02 03)

მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა საოჯახო ტიპის მომსახურებითა და თავშესაფრით უზრუნველყოფა, მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოსომატური აბილიტაცია (რეაბილიტაცია), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფთა დღის ცენტრების მომსახურებით უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სათემო ორგანიზაციების მომსახურებით უზრუნველყოფა, ბავშვთა დასვენება-გაჯანსაღება და საკურორტო რეაბილიტაცია, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა რეაბილიტაცია, ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟი, გონებრივი და ფიზიკური



განვითარების შეფერხების (მათ შორის, დაუნის სინდრომის, ცერებრული დამბლის, აუტიზმის და სხვა) მქონე ბავშვთა ადრეული რეაბილიტაცია და მისი პრევენცია. საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციართა სავარძელ-ეტლებით, საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით, სმენის აპარატებით, კოხლერული იმპლანტებითა და სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა;

ქვეპროგრამის ბენეფიციარია დაახლოებით 4 500 მოქალაქე.

1.2.4 მოსახლეობის ელექტროენერგიის ვაუჩერით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02 05)

მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურზე შეღავათის გაწევისა და ინფლაციის წნეხის შემსუბუქების მიზნით მოსახლეობის ერთჯერადად ელექტროენერგიის ვაუჩერით (20 ლარის ოდენობით) უზრუნველყოფა;

ქვეპროგრამის ბენეფიციარია 1.2 მილიონზე მეტი ოჯახი.

1.3 ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03)

სახელმწიფო სხვადასხვა მეთოდით მიაწვდის მოსახლეობას ჯანმრთელობის დაცვის სერვისებს. კერძოდ, სამიზნე ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან სამედიცინო დაზღვევით, განხორციელდება სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ხარჯების დაფინანსება/თანადაფინანსება, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის, გადამდები და არაგადამდები და სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მართვისა და მკურნალობის ღირებულებების/აუცილებელ მედიკამენტებზე მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ეფექტიანობის გაზრდის მეშვეობით.

1.3.1 ჯანმრთელობის დაზღვევა (პროგრამული კოდი 35 03 01)

სამიზნე ჯგუფების სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს საპენსიო ასაკის მოსახლეობის, სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილთა, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებსა და მცირე, საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები (მათ შორის, მშობელთა მზრუნველობას მოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) ბავშვებისა და აღმზრდელების, საჯარო სკოლებისა და ცალკეული საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, საქართველოს პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლების, ცალკეული საგანმანათლებლო დაწესებულებების აღსაზრდელების, 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის პირთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა კატეგორიის პირთა დაზღვევას;

ქვეპროგრამის ბენეფიციარია 1 700.0 ათასზე მეტი მოქალაქე.

1.3.2 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 02)

ჯანმრთელობის ხელშეწყობისაკენ, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და დაავადებათა პროფილაქტიკისაკენ მიმართული პროგრამები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. განხორციელდება პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს გადამდებ და ონკოლოგიურ დაავადებათა პრევენციას. მათი ადრეული გამოვლენა უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, საზოგადოების დაცულობის გაზრდას და, მეორე მხრივ, სახელმწიფო დანახარჯების ოპტიმიზაციას. აღნიშნული პროგრამა განხორციელდება მოსახლეობის იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობის, ასევე ისეთი გადამდები დაავადებების, როგორებიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ ინფექცია, და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლისა და მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების გზით.

#### 1.3.2.1 დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 35 03 02 01)

დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და გავრცელების პრევენციის უზრუნველყოფა და მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;

სამიზნე ჯგუფებში პაციენტებისათვის კონსულტაციის გაწევა, მასალის აღება და სკრინინგის მეთოდებით გამოკვლევა;

კიბოს (25-დან 70 წლამდე ასაკის ქალებში, 50-დან 70 წლამდე ასაკის მამაკაცებში) ადრეული გამოვლენის მიზნით სკრინინგის მეთოდებით გამოკვლევების ჩატარება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

კიბოს რეესტრის დანერგვა;

0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების შეფერხების სკრინინგი და სკოლისათვის მზადყოფნის შეფასება;

ეპილეფსიის ადრეული დიაგნოსტიკა და პრევენცია;

მოსახლეობის საგანმანათლებლო კამპანია.

#### 1.3.2.2 იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 35 03 02 02)

მოსახლეობის მართვადი ინფექციებისაგან დაცვა;

ვაქცინებისა და შპრიცების შეძენა, შენახვა და სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის გადაცემა;

იმუნოპროფილაქტიკის წარმოება – აცრა-ვიზიტები (750.0 ათასზე მეტი ბენეფიციარი);

სტრატეგიული და ანტირაბიული შრატებისა და ვაქცინების შესყიდვა, შენახვა და გაცემა.

1.3.2.3 ეპიდზედამხედველობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 02 03)

ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების გაუმჯობესება;

გადამდებ დაავადებათა დროული გამოვლენის გაუმჯობესება ეპიდზედამხედველობისა და ლაბორატორიულ სამსახურებზე დაფუძნებული სისტემის გამართული მუშაობის გზით;

მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკისა და კონტროლის გაუმჯობესება;

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში და მუნიციპალურ დონეზე სამედიცინო სტატისტიკური სისტემის მუშაობის უზრუნველყოფა.

1.3.2.4 უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 35 03 02 04)

ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენცია სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფით;

დონორის სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტებზე, აივ ინფექციაზე/შიდსზე და ათაშანგზე;

ჰოსპიტალური სექტორის სისხლის პროდუქტებით უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავება და ხარისხის გარე კონტროლის უზრუნველყოფა.

1.3.2.5 პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (პროგრამული კოდი 35 03 02 05)

დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა პროფესიულ დაავადებათა პრევენციით;

შრომის პროცესში მოქმედი გარე ფაქტორების შესწავლა-შეფასება, სამიზნე ჯგუფებში პროფესიული ჯანმრთელობის კვლევა და დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინფორმირება პროფესიული ჯანმრთელობის რისკებისა და მათგან დაცვის მეთოდების შესახებ;

მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება, გავრცელებული პროფესიული დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის სახელმძღვანელო სქემების შემუშავება.

1.3.2.6 პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტი (EC) (პროგრამული კოდი 35 03 02 06)

წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება, ფინანსური ოპერაციების აუდიტი, წლიური შესყიდვებისა და ფინანსური ანგარიშების შედგენა.

1.3.2.7 ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი (WB) (პროგრამული კოდი 35 03 02 07)

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში მონაცემთა ბაზების სამართავად თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში ხორციელდება სამინისტროს სისტემაში საინფორმაციო კომპიუტერული პროგრამა sims-ის დანერგვა. ქვეპროგრამით ასევე გათვალისწინებულია აღნიშნული პროგრამის დასანერგად საჭირო კომპიუტერული ტექნიკისა და მოწყობილობების შეძენა და მათი შესაბამისი ორგანიზაციებისათვის გადაცემა.

1.3.3 მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 35 03 03)

ინტეგრირებული სამედიცინო სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა, სამედიცინო დახმარების დროული და თანამიმდევრული გაწევა;

აღნიშნული ღონისძიებები განხორციელდება პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დონეზე ინტეგრირებული სამედიცინო მომსახურების, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების, რეფერალური სამსახურების, სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის, გადამდები და არაგადამდები დაავადებებისა და სიცოცხლისათვის საშიში/დამაინვალიდებელი მდგომარეობების მართვისა და ძვირად ღირებულ/აუცილებელ მედიკამენტებზე მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ეფექტიანობის გაზრდის მეშვეობით.

1.3.3.1 ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 03 01)

ფსიქიკური პრობლემების მქონე მოსახლეობისათვის სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული დახმარების აღმოჩენა, მათ შორის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიატრიული ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, კრიზისული ინტერვენცია, ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პირთა სტაციონარული მომსახურება, სტაციონარში მყოფი პაციენტების ურგენტული მომსახურებით უზრუნველყოფა.

1.3.3.2 ინფექციური დაავადებების მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 02)

ინფექციური დაავადებების მქონე ავადმყოფთა ადეკვატური სტაციონარული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა.

1.3.3.3 ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 03)

ქვეპროგრამა უზრუნველყოფს: ტუბერკულოზის ყველა საეჭვო შემთხვევის გამოკვლევას, ტუბერკულოზით დაავადებულთა ამბულატორიულ მომსახურებას (ანტიტუბერკულოზური პრეპარატებით უზრუნველყოფა და მკურნალობა უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ), ეროვნული რეფერალური ლაბორატორიის მიერ სტაციონარსა და ამბულატორიაში ბაქტერიოლოგიური დიაგნოსტიკის ხარისხის კონტროლის და რეზისტენტული ტუბერკულოზის ლაბორატორიული მართვის უზრუნველყოფას, ტუბკაზინეტებსა და ტუბდისპანსერებში ზედამხედველობას (სუპერვიზია), უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ (DOTS სამსახური) მკურნალობას, ფთიზიატრიული სტაციონარული დახმარების ფარგლებში

დიაგნოსტიკურ, თერაპიულ და ქირურგიულ მომსახურებას, მათ შორის, რეზისტენტული ფორმების მკურნალობას.

#### 1.3.3.4 აივ ინფექცია/შიდსი (პროგრამული კოდი 35 03 03 04)

ქვეპროგრამა უზრუნველყოფს აივ ინფექციაზე/შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფის პირთათვის კონსულტაციის გაწევას, მათ ტესტირებას და დაავადებულთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას.

#### 1.3.3.5 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 03 05)

დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება და სიკვდილიანობის შემცირება, ანტენატალური ზედამხედველობა; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა; გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა; ორსულებში B ჰეპატიტის (სწრაფი/მარტივი და კონფირმაციული), ათაშანგის (სწრაფი/მარტივი და კონფირმაციული) და აივ ინფექციის/შიდსის (სწრაფი/მარტივი) განსაზღვრისათვის მათი საჭირო ტესტებითა და სახარჯი მასალით უზრუნველყოფა; ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე; ახალშობილთა სმენის სკრინინგი.

#### 1.3.3.6 დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 06)

დიაბეტით დაავადებული ბავშვებისა და მოზრდილების ადეკვატური სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა, შესაძლო გართულებების პრევენცია და შემცირება;

დიაბეტით დაავადებული ბავშვებისა და მოზრდილებისათვის სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების მიწოდება, რაც მოიცავს ექიმის მეთვალყურეობასა და სპეციალიზებულ კვლევებს; 18 წლამდე ასაკის პირთათვის სარეაბილიტაციო დახმარების შესახებ და ამ ბავშვების მშობლებისათვის დიაბეტის მართვის საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება;

განხორციელდება ბენეფიციართა სპეციალიზებული მედიკამენტებითა და საანალიზო-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა: ა) დიაბეტიან მოზრდილთათვის – ინსულინისა და მისი ანალოგების შესყიდვა; ბ) დიაბეტიან ბავშვთა და მოზრდილთათვის – ინსულინისა და მისი ანალოგების, გლუკაგონის, შპრიც-კალმისტრებისა და შესაბამისი ნემსების შესყიდვა, კერძოდ, 18 წლამდე, 18 წლის და 18 წელზე მეტი ასაკის დიაბეტიანი პაციენტებისათვის, რომელთაც მხედველობა დაქვეითებული აქვთ (ან უსინათლოები არიან), აქვთ თანდაყოლილი ცერებრული დამბლა ან/და უშაქრო დიაბეტი; გ) დიაბეტიან ბავშვთა და მოზრდილთათვის – საანალიზო-ტექნიკური საშუალებების შესყიდვა; დ) უშაქრო დიაბეტით დაავადებულთათვის – ადიურეზული ჰორმონის შესყიდვა.

#### 1.3.3.7 ნარკომანია (პროგრამული კოდი 35 03 03 07)

ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, ასევე მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა.

1.3.3.8 ონკოლოგიურ დაავადებათა მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 08)

18 წლამდე და 60 წელზე მეტი ასაკის ონკოლოგიურ (მათ შორის, ნეირონკოლოგიურ) პაციენტთა დიაგნოსტიკა და მკურნალობა;

ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის პირთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა.

1.3.3.9 დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 35 03 03 09)

ქვეპროგრამა თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულ პაციენტებს უზრუნველყოფს შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, კერძოდ, ჰემოდიალიზით, პერიტონეული დიალიზით და თირკმლის ტრანსპლანტაციის ოპერაციით.

1.3.3.10 გულის ქირურგია (პროგრამული კოდი 35 03 03 10)

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს: გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებულ პაციენტთა კარდიოქირურგიულ მკურნალობას, გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიებით დაავადებულ 60 წელზე მეტი ასაკის პაციენტთა კარდიოქირურგიულ მკურნალობასა და კორონარულ ანგიოპლასტიკას.

1.3.3.11 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (პროგრამული კოდი 35 03 03 11)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიულ და სტაციონარულ პალიატიურ მზრუნველობას, მათ შორის, აივ ინფექციით/შიდსით დაავადებულთა პალიატიურ სტაციონარულ მზრუნველობას.

1.3.3.12 იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 03 12)

ქვეპროგრამა უზრუნველყოფს იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის პირთა სტაციონარულ მომსახურებას დაავადების სპეციფიკური გართულების დროს, ასევე ჰემოფილიით დაავადებული ბავშვებისა და მოზრდილების ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია იშვიათი დაავადებების მქონე პირთათვის სპეციფიკური მედიკამენტებისა და საკვები დანამატების შესყიდვა, მათ შორის, ე. წ. ბრუტონის დაავადების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

1.3.3.13 სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 35 03 03 13)

მოსახლეობის უფასო სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა (თბილისში – ქალაქ თბილისის მერიის დაფინანსებით);



ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს სასწრაფო სამედიცინო დახმარებასა და სამედიცინო ტრანსპორტირებას.

1.3.3.14 სოფლის ექიმი (პროგრამული კოდი 35 03 03 14)

ქვეპროგრამის ფარგლებში სოფლად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები (გარდა სახელმწიფოს მიერ დაზღვეული მოქალაქეებისა) უზრუნველყოფილი არიან პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით (ექიმთან ვიზიტი, ექიმის ვიზიტი ბინაზე, ლაბორატორიული გამოკვლევები, ექიმის მეთვალყურეობა და სხვა);

ასევე გათვალისწინებულია სპეცდაფინანსება მაღალმთიან, სასაზღვრო და ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე რეგიონებში არსებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის.

1.3.3.15 რეფერალური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 15)

სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა;

საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების უმაღლესი თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრთა გეგმური სამედიცინო დახმარების ხარჯების ანაზღაურება და ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირთა ოჯახის წევრების სამედიცინო დაზღვევა.

1.3.3.16 ანტირაბიული დახმარება (პროგრამული კოდი 35 03 03 16)

18 წლამდე ასაკის პირთა ანტირაბიული სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა.

1.3.3.17 3 წლამდე ასაკის ბავშვთა გადაუდებელი და სტაციონარული დახმარება (პროგრამული კოდი 35 03 03 17)

ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდით.

1.3.3.18 ურგენტული მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 18)

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს 60 წელზე მეტი ასაკის პირთა კრიტიკული მდგომარეობის მართვას და ზოგიერთი დაავადების სტაციონარულ მკურნალობას.

1.3.3.19 ზოგადი ამბულატორია (პროგრამული კოდი 35 03 03 19)

ქვეპროგრამის მიზანია პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა;

თვითმმართველ ქალაქებში, ქალაქებსა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მუნიციპალიტეტების ცენტრებში ფაქტობრივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის (0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები, 60 წლის და 60 წელზე მეტი ასაკის პირები და 6-დან 60 წლამდე დიაბეტით დაავადებული და ინკურაბელური პაციენტები) ამბულატორიული მომსახურების მიწოდება.

- 1.3.3.20 სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (პროგრამული კოდი 35 03 03 21)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია სამხედრო ძალებში გასაწვევი კონტინგენტის ამბულატორიული და დამატებითი სტაციონარული გამოკვლევებით უზრუნველყოფა.

- 1.3.4 დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (პროგრამული კოდი 35 03 04)

შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ჰოსპიტალური სექტორის ჭრილში ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით; საექიმო სპეციალობათა განახლებული ნუსხის შესაბამისად, ზოგიერთ საექიმო სპეციალობაში სარეზიდენტო პროგრამების სრულყოფა, პროფესიული კომპეტენციების შემუშავება და შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება.

- 1.3.5 პროგრამების შესაძლო დეფიციტის დაფინანსება (პროგრამული კოდი 35 03 05)

ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების და მათი შესაბამისი პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების დაფინანსების ოპტიმალური მოცულობების მიღწევის მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგად დეფიციტების წარმოშობის რისკებისაგან დაცვა.

- 1.4 სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 35 04)

ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის რეფორმის II ეტაპის ფარგლებში განხორციელდება ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებების მშენებლობა, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია და მათი შესაბამისი სამედიცინო ინვენტარით აღჭურვა;

თანამედროვე სტანდარტების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა უზრუნველყოფს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას;

საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს თანამედროვე სტანდარტების პათოლოგიური ლაბორატორია. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ პათოლოგიური ლაბორატორიის გარეშე შეუძლებელია ბევრი დაავადების ზუსტი დიაგნოსტიკა და, შედეგად, მკურნალობის ხარისხის უზრუნველყოფა. ქვეყანაში ამ სერვისის არარსებობის გამო საქართველოს მოსახლეობის ნაწილი საზღვარგარეთ არსებულ ლაბორატორიებს მიმართავს, ხოლო ნაწილისათვის ეს მომსახურება საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, შეზღუდულია საქართველოში ამ მიმართულებით სამედიცინო კადრების მომზადებისა და სამეცნიერო კვლევების წარმოების შესაძლებლობაც. პრობლემების გადასაჭრელად

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011–2015 წლების სახელმწიფო სტრატეგია – „ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანდაცვა“ – ითვალისწინებს ქვეყანაში პათოლოგიის დარგის ლაბორატორიული სიმძლავრეების შექმნას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თანამედროვე სტანდარტების პათოლოგიური ლაბორატორიის მშენებლობა და აღჭურვა, რაც გააუმჯობესებს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხარისხს, ასევე უზრუნველყოფს შესაბამის სერვისებზე მოსახლეობის ფინანსურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტების სამედიცინო სიმულაციური სასწავლო ცენტრის მოწყობა, რომელიც ხელს შეუწყობს სამედიცინო კადრების მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესს;

პროგრამის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოების თანადაფინანსება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს არსებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას;

ქვეყნის მასშტაბით სამედიცინო დაწესებულებებში დაინერგება ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემა, რომლის საშუალებითაც განხორციელდება საქართველოს მოქალაქეების შესახებ ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების დაგროვება. სისტემა სამედიცინო ისტორიების ელექტრონული საცავია. იგი მოიცავს ექიმის პორტალის ინტერფეისს; ასევე შესაძლებელი გახდება ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემაში დაცული ინფორმაციის მოქალაქის პორტალთან ინტეგრირება.

1.5 ა(ა)იპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია (პროგრამული კოდი 48 00)

ინფექციურ დაავადებათა აღმოჩენა, ეპიდემიოლოგიური დაკვირვება, ბუნებრივი და ხელოვნური წარმოშობის პათოგენების კვლევა;

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და ვეტერინარიისათვის რეფერალური ფუნქციის შესრულება განსაკუთრებით საშიში პათოლოგიების კონსოლიდირებული კოლექციის დაცული საცავის მეშვეობით;

რეგიონში ბიოუსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა;

ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განხორციელება საქართველოსა და საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტების პარტნიორობით;

ლაბორატორიის ადმინისტრაციის მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, სადაც აგრეთვე განთავსდება სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

1.6 შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 30 04)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი როგორც პროფილაქტიკური, ისე სხვადასხვა სტაციონარში მკურნალობის ხარჯების დაფარვა, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურზე მიმაგრებული კონტინგენტის სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონარულ-სანიტარიული მკურნალობა, ავადმყოფთა და დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, აგრეთვე ამ კონტინგენტის ჯანმრთელობაზე გარემო ფაქტორების უარყოფითი გავლენის თავიდან აცილების, ყოფა-ცხოვრების, რადიაციული და ქიმიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში, ადგილებზე პრაქტიკული და საკონსულტაციო დახმარების მიზნით აღნიშნული სამსახურის სამედიცინო პერსონალიდან მობილური საექიმო ბრიგადების ფორმირება;

ჯანმრთელობის დაცვის სამსახური საბრძოლო მოქმედებათა შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებს დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენასა და ევაკუაციის ორგანიზებაში.

- 1.7 თავდაცვის სფეროში ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირებისათვის ეფექტიანი და ხელმისაწვდომი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების შეთავაზება.

- 1.8 ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში (პროგრამული კოდი 27 04)

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების სტანდარტები და ხარისხი არ უნდა განსხვავდებოდეს სამოქალაქო სექტორში არსებული სამედიცინო მომსახურების სტანდარტებისა და ხარისხისაგან. იმავდროულად, სასჯელაღსრულების სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში საჭიროა უფრო მაღალი სტანდარტით მომსახურება, რადგან საქმე ეხება პატიმრის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რომელზედაც ვალდებულია სახელმწიფოს აქვს აღებული;

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განხორციელდება პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პუნქტების, აგრეთვე სტაციონარული მომსახურების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა, მათ შორის, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პუნქტების საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ესენციური მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

განხორციელდება სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლების პროცესის უზრუნველყოფა, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პუნქტების ფუნქციონირების მონიტორინგი და ხარისხის კონტროლი.

- 2 თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გაგრძელდება თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება და ინსტიტუციონალიზაცია, პერსონალის განათლება და წვრთნა,

შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის განვითარება, ნატო-ში ინტეგრაციის მხარდაჭერა და ორმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია, დაინერგება თავდაცვის სფეროში განათლების მიღების ახალი პრინციპი. სახელმწიფო განხორციელებს საზოგადოებრივი მართლწესრიგის სფეროში მიღწეული წარმატებების შემდგომ კონსოლიდაციას პოლიციისადმი საზოგადოების მაღალი ნდობის შესანარჩუნებლად, მოქალაქეებისათვის უფრო უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად და ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად;

პენიტენციურ სისტემაში გაგრძელდება ინფრასტრუქტურის განვითარება, თანამედროვე სტანდარტების შექმნა, სასჯელის მოხდის ალტერნატიული ფორმების გამოყენების წილის ზრდა და სოციალური ინტეგრაციის ეფექტიანი ფორმების განვითარება. ამ მიზნით თითოეული პირობით მსჯავრდებული დაექვემდებარება სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას და მოხდება რისკების შეფასება ელექტრონული მონიტორინგის სისტემის გამოყენებით. პრობაციის სოციალური მუშაკები გააგრძელებენ არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროცესში ინტენსიურ მონაწილეობას. დაინერგება ვიდეოპაემნების განხორციელების მექანიზმები სხვადასხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. ინტენსიური რეფორმა განხორციელდება პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, რათა სამედიცინო სერვისების ხარისხი შეესაბამებოდეს სამოქალაქო სექტორში არსებული სერვისების ხარისხს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ტუბერკულოზის პრევენციას და ამ დაავადების მქონე მსჯავრდებულ პაციენტთა მკურნალობას. ამ მიზნით თითოეულ სასჯელსრულებების დაწესებულებაში მიმაგრებული იქნება ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და დასრულდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამკურნალო კორპუსის მშენებლობა.

## 2.1 საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვა (პროგრამული კოდი 30 01)

ბოლო წლებში ინტენსიურად ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მათი შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, ასევე მუდმივად ხდება სამინისტროს ავტოპარკის განახლება. მომდევნო წლებში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის ხარისხის ამაღლების მიზნით აუცილებელია ზემოაღნიშნული ღონისძიებების გაგრძელება სამინისტროს ინფრასტრუქტურის სრულ რეაბილიტაციამდე და ავტოპარკის მუდმივი განახლება;

ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მიზნით საჭიროა საგანგებო სიტუაციების მართვის სასწავლო გეგმების განხორციელება, კავშირგაბმულობის ახალი საშუალებებისა და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რეგიონული სამმართველოების, მათი განყოფილებებისა და სასაზღვრო-საემიგრაციო გამშვები პუნქტების მუდმივი და შეუფერხებელი კავშირის გაუმჯობესება, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფა, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანათა შესრულების მიზნით საინფორმაციო სისტემების შექმნა, ინოვაციური თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, უწყვეტი ქსელური კავშირის უზრუნველყოფა, სისხლის სამართლის სტატისტიკის წარმოება უწყებებს შორის შეთანხმებული მემორანდუმის შესაბამისად;

მოხდება ნარკოტიკული საშუალებების, კონტრაბანდული საქონლის, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებათა იმპორტისა და

ექსპორტის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კონტროლირებადი სივრცის მაქსიმალურად გაკონტროლებისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით საჭიროა სასაზღვრო სექტორებში ახალი ადმინისტრაციული შენობებისა და ახალი სათვალთვალო კოშკურების მშენებლობა და არსებულების რეაბილიტაცია, სასაზღვრო პოლიციის სამმართველოების გაზიფიცირება და სხვა ინფრასტრუქტურის შეკეთება-რეაბილიტაცია. გარდა ამისა, საჭიროა სასაზღვრო პოლიციის ყველა ქვედანაყოფის სასაზღვრო სექტორებამდე და სასაზღვრო პოსტებამდე სატრანსპორტო საშუალებებით მიღწევა, რაც გადაწყვეტს პირადი შემადგენლობის უწყვეტი მატერიალური მომარაგების საკითხს. საზღვრის დაცვისა და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ქვედანაყოფები აღიჭურვება მაღალი გამავლობის მანქანებით, ღამის ხედვის თანამედროვე ხელსაწყოებით, გადასატანი რადიოსადგურებით და სხვა თანამედროვე ტექნიკით. ასევე მოდერნიზებული იქნება სწრაფმავალი კატარღები, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა მინიმუმამდე შემცირებას;

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეინარჩუნოს და გააღრმავოს მიღწეული პროგრესი. დაგეგმილია სამინისტროს ტაქტიკურ-ოპერატიული დონის ამაღლება, პერსონალის უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარებით დანაშაულის პრევენციისა და საგამოძიებო პრაქტიკის სტანდარტის ამაღლება, პოლიციის საქმიანობისა და რეფორმების პროცესის მიმდინარეობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საჯარო ინფორმაციის დაუბრკოლებლად გაცემა, დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

## 2.2 ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოში მოქმედი დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტებისა და ეროვნული საგანძურის ობიექტების დაცვა. ამასთანავე, დაცვის ღონისძიებების უკეთ განხორციელების მიზნით მოხდება შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ობიექტების თანამედროვე აპარატურითა და რადიოგადამცემებით აღჭურვა.

## 2.3 სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 05)

„საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი განახორციელებს სახელმწიფო რეზერვის მარაგების შექმნას, შენახვასა და მომსახურებას, ასევე მისი აღრიცხვის, გაცემის, დაბრუნებისა და განახლების ოპერაციებს.

## 2.4 შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამაღლება (პროგრამული კოდი 29 01)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების მიზნით კონკრეტული სცენარებისა და ამოცანების მიხედვით სათანადო ხარისხის ინდივიდუალური, ჯგუფური და გაერთიანებული წვრთნების ჩატარება და მათი მუდმივი დახვეწის უზრუნველყოფა;

წვრთნების სიმულაციური სისტემების დანერგვა და განვითარება, ამ პროცესში ჩართული პირადი შემადგენლობის მომზადება; აღნიშნული სისტემების ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა; პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ახალი სიმულაციური მოწყობილობის ინსტრუქტორთა მომზადების გაგრძელება;

არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით, შეიარაღებული ძალების აღჭურვილობისა და შეიარაღების მოდერნიზაციის გაგრძელება და არსებული ტექნიკის სასიცოცხლო ციკლის შესწავლის სრულყოფა;

შეიარაღებული ძალებისათვის თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

ლოჯისტიკური სისტემის ოპტიმიზაცია, მისი მოქნილობის, ეფექტიანობისა და ნატო-სთან თავსებადობის ამაღლება;

შეიარაღებული ძალების თადარიგში მყოფი მოსამსახურეებისათვის სამოქალაქო საზოგადოებაში რეინტეგრაციის ეფექტიანი მექანიზმების ჩამოყალიბება;

ვეტერანთა სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირებისათვის ეფექტიანი და ხელმისაწვდომი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების შეთავაზება.

## 2.5 თავდაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 29 04)

სამხედრო-სამეცნიერო შესაძლებლობათა შემდგომი განვითარება სამხედრო-სამეცნიერო კვლევების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და საქართველოში სამხედრო წარმოების ხელშეწყობის გზით.

## 2.6 საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში საჰაერო ხომალდების აფრენა-დაფრენისათვის საჭირო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა) (პროგრამული კოდი 24 08)

საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება;

კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა;

ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება;

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციითა და

პილოტაჟით უზრუნველყოფა;

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა.

## 2.7 პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 27 01)

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია;

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან და ორგანიზაციასთან ურთიერთობების კოორდინაცია, თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმება, სტრატეგიულ-კონცეპტუალური დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობა;

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო საქმიანობის ორგანიზება, რეგულირება და კონტროლი.

## 2.8 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა (პროგრამული კოდი 27 02)

პატიმრების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და ციხეებში გადატვირთულობის შემცირების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები განაპირობებს ახალი დაწესებულებების აშენებას, ასევე არსებულ დაწესებულებებში სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების ჩატარებას და მათ შესაბამისი მანქანა-დანადგარებით, ინვენტარითა და მოწყობილობებით აღჭურვას, თავისუფლებადკვეთილთათვის, საჭიროებისამებრ, რბილი ინვენტარის შესყიდვას, ზოგიერთი დაწესებულების სამზარეულოებისა და სასადილო ოთახების გარემონტებას და მათ სამზარეულო ინვენტარით აღჭურვას;

პატიმრის ოჯახთან ურთიერთობის უფლების გამოყენება მოითხოვს ვიდეოპაემნებით სარგებლობის დანერგვას;

თავისუფლებადკვეთილთა ახლობლებისათვის, ოჯახის წევრებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის სწრაფად და ეფექტიანად მოძიების, მოქალაქეთა რეგისტრაციისა და პაემნების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით აშენდება საზოგადოებრივი კონსულტანტის შენობები;

თავისუფლებადკვეთილთა მიერ განათლების მისაღებად შეიქმნება დისტანციური სწავლების პროგრამა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა;

დანაშაულის განმეორებით ჩადენის თავიდან აცილების მიზნით მოხდება პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია და მათთვის სრულფასოვანი დახმარების გაწევა;

განხორციელდება პენიტენციური სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების სრულყოფა და განვითარებული ქვეყნების ანალოგიური სამსახურების გამოცდილების გაზიარება;



საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი საჭიროების მქონე პირები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო იურიდიული სერვისებით.

2.8.1 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 02 01)

პენიტენციურ სისტემაში მყოფ მსჯავრდებულთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით აშენდება ახალი დაწესებულებები, ხოლო არსებულ დაწესებულებებს ჩაუტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები;

კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის სწრაფად და ეფექტიანად მოძიების, მოქალაქეთა რეგისტრაციისა და პაემნების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით აშენდება საზოგადოებრივი კონსულტანტის შენობები;

თავისუფლებადკვეთილთა მიერ განათლების მისაღებად შეიქმნება დისტანციური სწავლების პროგრამა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა;

პატიმართა სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფა მოითხოვს პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების ახალი პროცედურების ხელმისაწვდომობასა და პატიმართა უფლებების (საჩივრების, დისციპლინური და ადმინისტრაციული პროცედურების) შესახებ მათი ცნობიერების ამაღლებას;

სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და სოციალური დაცვის მიზნით პენიტენციური სისტემის თანამშრომლები და სამხედრო სავალდებულო მოსამსახურეები უზრუნველყოფილი იქნებიან დაზღვევით;

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის, სამხედრო სავალდებულო მოსამსახურეებისა და სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებისათვის შეძენილი იქნება სპეციალური ფორმის ტანსაცმელი და რბილი ინვენტარი.

2.8.2 პრობაციის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 02 02)

არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების პროცესში განხორციელდება სასჯელის ლიბერალური სტანდარტების დანერგვა, საზოგადოებასთან აქტიური ურთიერთობა, მსჯავრდებულთა დასაქმება და მათ მიერ მატერიალური სარგოს გამომუშავება;

სარეაბილიტაციო პროექტებში ჩართულობა მსჯავრდებულებს საშუალებას აძლევს, თავი აარიდონ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოხვედრას;

სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო საგანმანათლებლო პროგრამებით ხელს უწყობს პრობაციონერების სამომავლო დასაქმებას და კანონმორჩილ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.

2.8.3 უფასო იურიდიული დახმარება (პროგრამული კოდი 27 02 03)

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში საქართველოს მთელ

ტერიტორიაზე მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების მიწოდების მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება იურიდიული დახმარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარება. გარემონტდება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა სამსახურის ფოთის ბიურო, აგრეთვე გარემონტდება და აღიჭურვება 2 ახალი საკონსულტაციო ცენტრი;

საქართველოს რეგიონებში ახალი ოფისების გახსნითა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით განპირობებული მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მოქალაქეებს უფასო იურიდიულ დახმარებას გაუწევენ როგორც შტატიანი, ისე მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატები. გაგრძელდება იურიდიული დახმარების სამსახურის კადრების გადამზადება აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე;

დაინერგება მობილური იურიდიული დახმარების სერვისი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისა და კონსულტანტების რეგულარული გასვლითი კონსულტაციები.

## 2.9 ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)

საფინანსო და ეკონომიკურ სფეროებში დანაშაულისა და კორუფციულ გარიგებათა პრევენცია, აღკვეთა და გამოვლენა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის საქმიანობის უსაფრთხოებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში თანამშრომლების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვის უზრუნველყოფა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გამოძიების პროცესში თანამედროვე სისტემებისა და სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროგრამის დანერგვა.

## 2.10 გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (პროგრამული კოდი 26 02)

დანაშაულის პრევენცია;

პროკურატურის ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ზრდა.

## 2.11 საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (პროგრამული კოდი 40 00)

საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების უმაღლესი ორგანოების თანამდებობის პირთა, საქართველოში ვიზიტით მყოფ უცხო ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირთა, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ადმინისტრაციული შენობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან დაცვით უზრუნველყოფა. ამ ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით მუდმივად განახლდება სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მოხდება თანამშრომელთა გადამზადება.

## 2.12 საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი (პროგრამული კოდი 03 01)

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ძირითადი ამოცანაა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და მისი იმპლემენტაციის პროცესის გაუმჯობესება. ამ მიზნით მიმდინარეობს „ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის“ უწყებათაშორისი პროცესი, რომლის ფარგლებშიც გაგრძელდება როგორც საგარეო და საშინაო საფრთხეების განსაზღვრა და ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კონცეპტუალური და სტრატეგიული დოკუმენტების პაკეტის შექმნა, ისე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა და მისი იმპლემენტაციის პროცესის მონიტორინგი;

პრიორიტეტულია აგრეთვე ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მომზადება, რომელიც უკვე არსებულ კონცეპტუალურ და სტრატეგიულ დოკუმენტებს დაეფუძნება;

მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და „ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის“ პროცესში ჩართული სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა პროფესიული გადამზადების ხელშეწყობის მიზნით.

## 2.13 საქართველოს დაზვერვის სამსახური (პროგრამული კოდი 31 00)

საქართველოს დაზვერვის სამსახური არის სპეციალური დანიშნულების დაწესებულება, რომელიც იცავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და ახორციელებს სადაზვერვო საქმიანობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ, ინფორმაციულ და ეკოლოგიურ სფეროებში, აგრეთვე თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში;

სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზნებია საგარეო საფრთხეებისა და რისკების განსაზღვრა, ქვეყნის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა აუცილებელი სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თავდაცვის, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ და ეროვნული უსაფრთხოების სხვა სფეროებში გადაწყვეტილებების მისაღებად.

## 3 რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

საქართველოს უკეთესი შიგა და საერთაშორისო ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულად პრიორიტეტულია ქვეყნის ზოგადი რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარება. სახელმწიფო განაგრძობს მუშაობას რეგიონის მასშტაბით ქვეყნის ფართო, მულტიმოდალურ სატრანსპორტო და ენერგეტიკულ კვანძად ჩამოყალიბების მიზნით. საქართველოს რეგიონულ ცენტრად ჩამოყალიბებაში კი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტურიზმის სფეროს;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის აქტუალურ თემად რჩება საგზაო, ენერგეტიკისა და წყლის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ქვეყნის რეგიონული განვითარება;

გაგრძელდება მუშაობა ძირითადი მაგისტრალური, მეორეული და ადგილობრივი გზების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რათა გაიზარდოს როგორც ქვეყნის შიგა ტვირთბრუნვა და ურთიერთდაკავშირება, ისე საქართველოს როლი რეგიონული და

საერთაშორისო ტვირთბრუნვისა და ტრანზიტის ჭრილში. მაღალი ტემპით გაგრძელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის, ქუთაისისა და ქობულეთის შემოვლითი გზების მშენებლობა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აშენდება და გაუმჯობესდება მეორეული და ადგილობრივი გზები. შეიქმნება განვითარებული, ხარისხიანი და უსაფრთხო საგზაო ინფრასტრუქტურა ქვეყნის შიგა ტვირთბრუნვის, იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის განვითარებისათვის, უზრუნველყოფილი იქნება საკურორტო და სხვა რეგიონებში უკეთესი მიღწევადობა, გაგრძელდება ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის, ვაჭრობისა და ტურიზმის ზრდას, ისე ახალი საწარმოების მშენებლობასა და სამუშაო ადგილების შექმნას;

უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მძლავრი ნაკადის მოზიდვით და მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციით კიდევ უფრო გაიზრდება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი ენერგეტიკის სფეროში და საქართველოს როლი აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკულ დერეფანში. სანდო, დივერსიფიცირებული და ფინანსურად მდგრადი ენერგოსისტემა არის ერთ-ერთი წინაპირობა საქართველოს სამეწარმეო და საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალიზებისათვის. სახელმწიფო მიზნად ისახავს ელექტროენერგიაზე შიგა მოთხოვნილების 100%-ით დაკმაყოფილებას ადგილობრივი ჰიდროენერგიით, რათა საქართველო გახდეს ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ექსპორტიორი თურქეთში, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. საქართველოს ენერგეტიკულ სექტორს განსაკუთრებულად მიმზიდველს გახდის თურქეთთან დამაკავშირებელი 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, უკვე არსებული სხვადასხვა გადამცემი ხაზის რეაბილიტაცია და სხვა ენერგოპროექტები;

სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია, შეამციროს უთანასწორობა ურბანულ და რეგიონულ განვითარებაში დასაქმებისა და განვითარების ცენტრების შექმნით, რეგიონებში მიღწევადობის გაუმჯობესებით, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებითა და სოფლის მეურნეობის სფეროში პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიღმა ახალი სამუშაო ადგილების შექმნით. ამ ღონისძიებების გატარებით შესაძლებელი იქნება ეკონომიკის სტრუქტურის დეცენტრალიზება და, შესაბამისად, მაღალი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა;

რეგიონული განვითარების უმნიშვნელოვანესი ნაწილია სოფლის მოსახლეობისათვის ცხოვრების სათანადო პირობების შექმნა. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პირველადი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების, ამბულატორიების ინფრასტრუქტურის განვითარებას, აღჭურვას და მათთვის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფას, სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის პირველადი ჯანმრთელობის დაცვის უფასო მომსახურების შეთავაზებას;

ქვეყნის სრულყოფილი განვითარებისათვის აუცილებელია ურბანული და რეგიონული განვითარება, ძირითადი ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია ყველა ქალაქსა და რეგიონში. გაგრძელდება მუშაობა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის კუთხით. ასევე გაგრძელდება წყლის მილსადენების, გამწმენდი ნაგებობების, რეზერვუარების, საქლორატორებისა და ფილტრების მოწყობა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, ნაპირდაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები და მუდმივი მონიტორინგი მდინარეებისა და ზღვის სანაპირო ზოლებში ავარიული და რისკვაქტორიანი უბნების გამოვლენისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებისათვის;

ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით გაგრძელდება საქართველოს ქალაქებისა და

რეკრეაციული ტერიტორიების აღორძინება-განვითარების პროგრამები ზღვისპირა, სამთო-რეკრეაციული ზონებისა და ისტორიული ქალაქების განვითარებისათვის. ქვეყნის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით გაგრძელდება საინფორმაციო და სხვა ღონისძიებები როგორც უცხოელი ტურისტების მოსაზიდად, ისე შიგა ტურიზმის წასახალისებლად. განხორციელდება ინვესტიციები ტურისტულ ინფრასტრუქტურაში. გაგრძელდება მუშაობა ტურისტთა რაოდენობის ზრდისა და ქვეყნის, როგორც ზამთრის ერთ-ერთი საკურორტო ცენტრის, ჩამოყალიბების მიმართულებებით. დასახული მიზნების მისაღწევად გაძლიერდება ტურისტული სარეკლამო კამპანიები იმ ქვეყნებში, საიდანაც ტურისტების მოზიდვის პოტენციალი მაღალია.

### 3.1 რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 25 01)

რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მონიტორინგი;

საქართველოს მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა;

საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია.

### 3.2 საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 25 02)

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველომ ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფნის სტატუსი შეიძინა. ვინაიდან სატვირთო გადაზიდვების საკმაოდ დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება საავტომობილო გზებია. საავტომობილო გადაზიდვებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ განაპირობა არსებული გზების რეკონსტრუქციის, საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზაციისა და, ზოგ შემთხვევაში, ცენტრალური ქალაქების გვერდის ავლით, ახალი, უსაფრთხო საგზაო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობა, რითაც გარკვეული ტერიტორიები გამოთავისუფლდება, ეს კი ტურიზმის განვითარებისა და ახალი ტურისტული ობიექტების მშენებლობის საფუძველი გახდება.

#### 3.2.1 საავტომობილო გზების პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 25 02 01)

საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის ადმინისტრირება და მონიტორინგი.

### 3.2.2 გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 25 02 02)

რაიონულ და საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან, მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია, მათი რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია და განვითარება;

საავტომობილო გზების მახასიათებლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია;

სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით განსახორციელებელი, ასევე მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება.

### 3.2.3 ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (პროგრამული კოდი 25 02 03)

ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ნაწილის – ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის (E-60 ავტომაგისტრალი) – რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია და განვითარება;

საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო გადაზიდვების, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;

საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადის გამტარუნარიანობისა და საერთაშორისო გადამზიდავი კომპანიების ინტერესების გათვალისწინებით, საავტომობილო გზების მახასიათებლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

### 3.3 რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 03)

მუნიციპალიტეტებში სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემების აღდგენითი სამუშაოების განხორციელება;

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დაპროექტება და აღდგენა-რეაბილიტაცია, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა, არსებული გზების გაგანიერება-მოდერნიზაცია, ნაპირდაცვითი სამუშაოების ჩატარება.

### 3.4 წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 04)

საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისა და არსებული ორგანიზაციების ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისაგან დაცული სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა;

საქართველოს დიდ ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია;

მუნიციპალიტეტებში წყალსადენის სათავე ნაგებობების მოწყობა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

ტურისტულ-დასასვენებელ ცენტრებში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ტურიზმის სექტორის განვითარებას.

3.5 ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 36 02)

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰიდროელექტროსადგურების, მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელისა და დისპეტჩერული მართვის სისტემის, ბუნებრივი გაზის მაგისტრალური ქსელის მშენებლობა-რეაბილიტაცია, აგრეთვე გაზიფიკაციის პროგრამის ფარგლებში გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაცია და გაფართოება; მეზობელი სახელმწიფოების ენერგეტიკულ სისტემებთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

3.5.1 ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი (EBRD) (პროგრამული კოდი 36 02 01)

ჰიდროაგრეგატებისა და სადგურის ინფრასტრუქტურის ინტენსიური ცვეთის გამო (სადგური გასული საუკუნის 90-იან წლებში საჭირო, დაგეგმილი ყოველწლიური სარემონტო სამუშაოების შესრულების გარეშე მუშაობდა) ენგურჰესის რეაბილიტაცია 2 ფაზად დაიგეგმა. პირველი ფაზა ითვალისწინებდა №2, №3 და №4 ჰიდროაგრეგატებისა და სხვა დამხმარე კვანძების რეაბილიტაციას, რაც წინა წლებში წარმატებით განხორციელდა;

მეორე ფაზა ითვალისწინებს №1 და №5 ჰიდროაგრეგატებისა და სხვა დამხმარე კვანძების რეკონსტრუქცია-გადაიარაღებას. პროექტს აფინანსებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

3.5.2 ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EC) (პროგრამული კოდი 36 02 02)

გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის გამო დაზიანდა ვარდნილჰესი 1-ის როგორც აგრეგატები, ისე გამყვანი არხი, კაშხლის ინფრასტრუქტურა და სხვა კვანძები. წინა წლებში ჩატარდა აგრეგატებისა და ქვესადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სადგურის გამყვანი არხისა და კაშხლის გვირაბისა და სხვა კვანძების რეაბილიტაციას. პროექტს აფინანსებს ევროპის საინვესტიციო ბანკი.

3.5.3 სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 36 02 03)

მეზობელ სახელმწიფოებთან არსებული ელექტრული კავშირები ვერ უზრუნველყოფს მომავალში გაზრდილი სიმძლავრეების გატარებას. სისტემის ამჟამინდელი ტექნიკური

მდგომარეობა მოითხოვს დამატებითი ღონისძიებების გატარებას სისტემის საიმედოობის გაზრდის მიზნით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი.

3.5.3.1 შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი (KfW, EIB, EBRD) (პროგრამული კოდი 36 02 03 01)

გასული საუკუნის 80-იან წლებში დაწყებული და 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად შეჩერებული 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობებზე 2009 წლისათვის EBRD-ის, KfW-ისა და EIB-ის ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გარდაბანი-ახალციხე-ზესტაფონის მონაკვეთზე 270 კმ სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა-რეაბილიტაციასა და ახალციხე-თურქეთის 500/400 კვ ძაბვის ქვესადგურის (მუდმივი დენის ჩანართის) მშენებლობას.

3.5.4 ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარება (USAID) (პროგრამული კოდი 36 02 04)

საქართველოს ერთიანი გაზომარაგების არეალის, ასევე სისტემის საიმედოობის გაზრდის მიზნით რეგიონის მოსახლეობისა და საწარმოთა გაზით უზრუნველყოფისათვის, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონისა და შავიზღვისპირა რეკრეაციული ზონის გარანტირებული გაზომარაგებისათვის დაიგეგმა სენაკი-ქუთაისის და ვალე-ვანის მაგისტრალური გაზსადენების მშენებლობა. მაგისტრალის საერთო სიგრძე 155 კმ-ია (70 კმ – ვალე-ვანის მონაკვეთი, 85 კმ – სენაკი-ქუთაისის მონაკვეთი).

3.6 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 06)

ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა და ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია;

ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია შიგა და საერთაშორისო ბაზრებზე;

ტურიზმის სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობის განხორციელება;

მიზნობრივ ბაზარზე პირდაპირი სარეკლამო კამპანიების წარმოება, სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქციის მომზადება და გავრცელება, პრეს- და ინფოტურების ორგანიზება, საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენებში მონაწილეობა, ვებგვერდის განახლება და ოპტიმიზაცია;

საინფორმაციო-საინტერპრეტაციო დაფების დამზადება და რეგიონებში განთავსება;

მსოფლიოში ტურიზმის სფეროში არსებული მოთხოვნების დანერგვა და უცხოურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება.

3.7 სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარება ზემო სვანეთში (Government of the French Republic) (პროგრამული კოდი 24 10)



ზემო სვანეთში ტურიზმის განვითარებისა და მესტიის სათხილამურო კურორტად ჩამოყალიბების მიზნით თანამედროვე სათხილამურო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

### 3.8 ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)

ტექნიკურ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფა და არსებული მარეგულირებელი ნორმების ევროპის განვითარებული ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობებთან დაახლოება, აღნიშნულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, დამოუკიდებელი ზედამხედველობის ორგანოების, აკრედიტებული ინსპექციების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე ზედამხედველობის გაუმჯობესება;

არსებული ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი სანქციის გამოყენების მეთოდებისა და მისი ოდენობების ოპტიმიზაცია და სრულყოფა.

### 3.9 ბაქო–თბილისი–ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა–ახალქალაქი–კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა–კომპენსაცია (პროგრამული კოდი 24 07)

ყარსი–ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით პროგრამა ითვალისწინებს:

ა) მარაბდიდან კარწახის მიმართულებით თურქეთის საზღვრამდე მდებარე კერძო მიწის ნაკვეთების გამოსყიდვას და ამ პროცესთან დაკავშირებული მომსახურების გაწევას, შესასყიდი მიწის ნაკვეთების ტექნიკური და იურიდიული ბაზის მომზადებას ნასყიდობის გარიგების გასაფორმებლად, საკუთრების უფლების მყიდველზე რეგისტრაციას, პრობლემური ნაკვეთების იურიდიული და ტექნიკური ბაზის გამართვას, ინდივიდუალური საკომპენსაციო შეთავაზების და თანდართული გრაფიკული მონაცემებისა და რუკის მომზადებას;

ბ) მიწის შესყიდვისა და მოსავლის კომპენსაციის სახელმძღვანელო პროექტის სავარაუდო აღწერილობისა და სარკინიგზო მაგისტრალის დერეფნის რუკის შექმნას;

გ) სარკინიგზო მაგისტრალის სამშენებლო პროექტში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, ახალქალაქის რკინიგზის სადგურის ტერიტორიისა და ახალქალაქი–კარწახის სამშენებლო მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების შესწავლის სამუშაოების ჩატარებას.

## 4 განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია განათლების მაღალი დონე და მეცნიერების ხელშეწყობა. სახელმწიფო გააგრძელებს განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში

დაწყებულ ღონისძიებებს როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებების სათანადო კადრებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის, ისე დისციპლინისა და მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის გზით. მაღალი ხარისხის განათლების გარეშე შეუძლებელია ღირსეული და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა. ამ მიზნით სახელმწიფო ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას საქართველოს მოქალაქეების გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით;

პრიორიტეტის ფარგლებში სახელმწიფო განაგრძობს შესაბამისი პროგრამების განხორციელებას, რათა საქართველოს ზოგადი, უმაღლესი თუ პროფესიული განათლების სისტემა მაქსიმალურად მიუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რითაც საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, ღირსეული კონკურენტები იყვნენ დასაქმების მსოფლიო ბაზარზე. სახელმწიფო ხელს შეუწყობს სხვადასხვა ტექნიკური და სამეცნიერო დარგით ახალგაზრდების დაინტერესებას, მათ შორის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის დიდი წილის ამ კუთხით მიმართვით, ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებასა და ქვეყნის ამ ასპარეზზე წარმოჩენას;

ზოგადი განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო განაგრძობს მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესს; მეთორმეტკლასელთათვის გამოსაშვები გამოცდების ჩატარებას; სკოლის გამართული ვაუჩერული სისტემით დაფინანსებას; ახალი და თანამედროვე სასწავლო გეგმების დანერგვას, რომლებიც ფოკუსირებულია ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნებისა და ინგლისური ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე; მოსწავლეთა ინგლისურენოვანი პედაგოგებით უზრუნველყოფას; აბიტურის პროგრამის დანერგვას; სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას; სკოლების ინტერნეტიზაციას, სხვადასხვა კატეგორიის მოსწავლეების კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფასა და უსაფრთხო საგანმანათლებლო სივრცის კონცეფციის დახვეწას;

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების შეთავაზებას, რაც აუცილებელი წინაპირობაა შრომის ბაზრის მაღალკვალიფიციური ადგილობრივი მუშახელით უზრუნველყოფისათვის, ეს კი, თავის მხრივ, დიდ გავლენას მოახდენს უმუშევრობის დონეზე;

სახელმწიფო განაგრძობს უმაღლესი განათლების სისტემის დახვეწის ხელშეწყობას საქართველოს ახალგაზრდობის გლობალური კონკურენტუნარიანობისათვის როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის დონეზე, მათ შორის, ბოლონიის პროცესის ფარგლებში ევროპულ და მსოფლიო აკადემიურ სისტემებში ინტეგრაციით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საინჟინრო დისციპლინებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და სტუდენტებისათვის სოფლის მეურნეობის სფეროში სათანადო განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ინფრასტრუქტურის ინტეგრირებით უზრუნველყოფილი იქნება პედაგოგიური და სამეცნიერო პროცესების სინერგია;

სახელმწიფო განაგრძობს და გააძლიერებს ზრუნვას ეთნიკური უმცირესობებისა და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

სახელმწიფო ასევე განაგრძობს ხელოვნების დარგებში განათლების მიღების შესაძლებლობების მხარდაჭერასა და სხვადასხვა სფეროში დასაქმებულთა მუდმივი პროფესიული ზრდის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

#### 4.1 განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 32 01)

განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ამ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

საქართველოს ყველა მოქალაქისათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფის უზრუნველყოფა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელება;

საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია, საზოგადოების თითოეულ წევრთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად განათლების ხარისხზე ზრუნვა, მისი მუდმივი გაუმჯობესება და ქართული საგანმანათლებლო სივრცის მიმართ ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ნდობის ამაღლება;

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია.

#### 4.2 ზოგადი განათლება (პროგრამული კოდი 32 02)

ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ინკლუზიური სწავლების გაფართოება;

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს, სრულად განახორციელონ მათთვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები;

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ეროვნული შეფასების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვას;

ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეებისათვის ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა;

საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრა და დისციპლინის

გაუმჯობესება.

4.2.1 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 32 02 01)

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თითოეულ ბავშვზე გაცემული ვაუჩერის მიხედვით, რაც სკოლებს შესაძლებლობას აძლევს, სრულად განახორციელონ მათთვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები.

4.2.2 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 02)

სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების, მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლების გზით, მათთვის სიახლეების მიწოდება და მათი ცოდნის დონის საერთაშორისო სტანდარტებისადმი თუ მოთხოვნებისადმი გათანაბრება;

ტრენინგებს გაივლიან ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წარმომადგენლები. ტრენინგები ასევე ჩატარდება პროფესიული უნარების მიმართულებით. შესაბამის გადამზადებას გაივლიან მეთოდოლოგიის ექსპერტები, რომლებიც საკუთარი და ახლომდებარე სკოლებისათვის მეთოდოლოგიური კონსულტაციის გაწევას შეძლებენ. გადამზადდებიან საჯარო სკოლების დირექტორებიც;

გაგრძელდება ქართული ენის გაძლიერებული სწავლების პროცესი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში. ზოგადევროპული მოდელის საფუძველზე შემუშავებული „ქართულის, როგორც უცხოური ენის“ სტანდარტის მიხედვით, რომელიც გულისხმობს ქართული ენის ფლობის დონეებად (A1-A2; B1-B2) დაყოფას, ქართული ენის სწავლება განხორციელდება როგორც უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის, ისე სხვა ქვეყნების მოქალაქეებისათვის;

ქართველი მოსწავლეებისათვის ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების მიზნით გაგრძელდება ინგლისურენოვანი მოხალისე მასწავლებლების ჩამოყვანა, რომლებიც ქართველ მასწავლებლებთან ერთად განახორციელებენ სწავლებას.

4.2.3 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 03)

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;

საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული და ნარკოტიკული დანაშაულების პრევენცია;

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოზარდ მოსწავლეთა ურთიერთდაპირისპირების აღმოფხვრა, მათ მიერ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღების ტარების, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების აღმოფხვრა;

მანდატურები გადამზადდებიან მათი საქმიანობის სფეროსთვის მიკუთვნებულ სხვადასხვა დისციპლინაში, თითოეული მათგანის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით. მანდატურები ასევე გადამზადდებიან საგანგებო სიტუაციებში ოპერატიულად მოქმედების მიზნით, დაეუფლებიან ექსტრემალური სიტუაციებისათვის საჭირო სპეციალურ უნარ-ჩვევებს და შეიქმნება სამაშველო ჯგუფი.

#### 4.2.4 განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისება (პროგრამული კოდი 32 02 04)

ყველა ბავშვისა და ახალგაზრდისათვის განათლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფა;

თითოეული ბავშვისა და ახალგაზრდის მიერ საკუთარი საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ინიციატივების გამოვლენა;

მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებისა და თანაბრად კონკურენტულ გარემოში ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა, აგრეთვე ქართველი მოსწავლეების საერთაშორისო დონეზე წარმოჩენა;

წარჩინებული მოსწავლეების ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოება;

მოსწავლეთა ზოგადი განათლების განვითარებაზე ორიენტირებული განსაკუთრებით საინტერესო პროექტების დაფინანსება;

სკოლებისათვის სხვადასხვა თემატური და კალენდარული დღისადმი მიძღვნილი კონკურსების გამოცხადება.

#### 4.2.5 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინკლუზიური განათლების განვითარება (პროგრამული კოდი 32 02 05)

ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდი უზრუნველყოფს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სკოლებისათვის კვალიფიციური დახმარების გაწევას ინკლუზიური განათლების განვითარების საკითხებთან დაკავშირებით;

ინკლუზიური განათლების საკითხებში გადამზადდებიან სპეციალური პედაგოგები;

განხორციელდება საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტები შეაფასებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, საჯარო სკოლებს გაეწევათ დახმარება და კონსულტაციები ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მუშაობასთან დაკავშირებით;

სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იქნებიან სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციართა განვითარებაზე ზრუნვა.

#### 4.2.6 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 06)

ყველა მოსწავლისათვის განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით სახელმწიფო სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახების, ასევე სამ- და მეტშვილიანი ოჯახების მოსწავლეებს სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფს.

#### 4.2.7 ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება (პროგრამული კოდი 32 02 07)

ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური ენის სწავლების ხელშეწყობის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-9, მე-10 და მე-11 კლასების მოსწავლეებისათვის ინგლისური ენის 3-კვირიანი საზაფხულო სკოლები მოეწყობა საქართველოში და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში. საქართველოში მოწყობილ ინგლისურენოვან ბანაკებში ყოველწლიურად ჩაერთვება 1200 მოსწავლე, რომელთაგან გაერთიანებულ სამეფოში 108 მოსწავლე გაემგზავრება.

#### 4.2.8 ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 32 02 08)

გალის რაიონისა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ახალგორის რაიონის ფუნქციონირებადი სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა.

#### 4.2.9 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 32 02 09)

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობა. უზრუნველყოფილი იქნება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებასა და ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპრობილის რეჟიმის დაწესებულებაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა;

პროფესიული განათლების კურსების მეშვეობით მსჯავრდებულები შეძლებენ, სასჯელის მოხდის პერიოდში დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიას.

#### 4.2.10 მოსწავლე ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტიურობის განვითარება (პროგრამული კოდი 32 02 10)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს რეგულარული გუნდური მუშაობის დანერგვით საჯარო სკოლების მოსწავლეების, სტუდენტებისა და სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე, დევნილი, რეპატრიირებული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოზარდების ინტეგრაციასა და სოციალიზაციას, აგრეთვე სათემო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების გზით მათში საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის სურვილის გაღვივებას.

#### 4.3 პროფესიული განათლება (პროგრამული კოდი 32 03)

მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, პირის პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა.

##### 4.3.1 პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 32 03 01)

პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიანი, ხარისხიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება; პროფესიული განათლების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პირთა ჩარიცხვის მაქსიმალურად გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბება;

შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული პროგრამების განხორციელება როგორც კოლეჯებში, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა და ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;

საკუთარი ბიზნესის წამოწყების ან თვითდასაქმების გზით ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან მოსახლეობის ადაპტაციის ხელშეწყობა;

საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის პროფესიული განვითარებისა და დასაქმების პირობების შექმნა.

##### 4.3.2 ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (პროგრამული კოდი 32 03 02)

ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო ენის ცოდნის დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომელთა გადამზადება.

##### 4.3.3 განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (პროგრამული კოდი 32 03 03)

ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;

მაღალკვალიფიციური, შიგა და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებით;

თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და ინფრასტრუქტურის განვითარება;

საჯარო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების მეთოდების შემოღება და თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა შესაბამისი ინტერნეტკავშირის უზრუნველყოფით.

4.4 უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა (პროგრამული კოდი 32 04)

უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების წარმატებული განხორციელება;

უმაღლესი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის თანდათანობით ინტეგრაცია;

პირის ისეთი პროფესიული მოღვაწეობისათვის მომზადება, რომელიც მოითხოვს სამეცნიერო ცოდნისა და მეცნიერული მეთოდების გამოყენებას;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობა და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აკადემიური პერსონალის გაცვლა;

გამოცდების ორგანიზება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური ბაზის რეაბილიტაცია და მათი აღჭურვა, თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელება;

სამეცნიერო გრანტების დაფინანსებით ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების ხელშეწყობა.

4.4.1 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 01)

ქვეპროგრამა უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღიაობას, სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში, პირის ისეთი პროფესიული მოღვაწეობისათვის მომზადებას, რომელიც მოითხოვს სამეცნიერო ცოდნისა და მეცნიერული მეთოდების გამოყენებას.

ქვეპროგრამა ხელს უწყობს:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის პროფესიულ განვითარებას;

ბ) საერთაშორისო თანამშრომლობასა და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აკადემიური პერსონალის გაცვლას;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური ბაზის რეაბილიტაციას და მათ აღჭურვას, თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელებას.

4.4.2 გამოცდების ორგანიზება (პროგრამული კოდი 32 04 02)



სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული, სამაგისტრო და მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარება;

მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის შესაფასებელი ტესტირებები, რომელთა საფუძველზედაც მასწავლებელი მოიპოვებს შესაბამის სერტიფიკატს.

#### 4.4.3 მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 03)

ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის და ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა;

სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;

საქართველოში მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვა;

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ბენეფიციართა საქმიანობის მონიტორინგი;

სახელმწიფოს მიერ დამსახურებულ მეცნიერთა ფინანსური მხარდაჭერა.

##### 4.4.3.1 სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 03 01)

სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებით, კონკურსის წესით, ღია, გამჭვირვალე და თავისუფალი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად სახელმწიფო გრანტების გაცემის ორგანიზება;

საქართველოში არსებული სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოტენციალის შესახებ მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, წინადადებების მომზადება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო პრიორიტეტების განსახორციელებლად.

##### 4.4.3.2 სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (პროგრამული კოდი 32 04 03 02)

ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის და ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა;

სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;

საქართველოში მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვა.

##### 4.4.3.3 მეცნიერთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 03 03)

საქართველოში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად;

ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;

საქართველოში მეცნიერების განვითარების პროგნოზირება და მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებების მომზადება.

#### 4.4.3.4 სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 03 04)

აგროსასურსათო სექტორში გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევების ხელშეწყობა;

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება, კვლევითი საქმიანობისა და სწავლების ერთობლივი ფუნქციონირების მხარდაჭერა, საერთაშორისო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება.

#### 4.4.4 სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (პროგრამული კოდი 32 04 04)

სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტები არის ერთიანი ეროვნული და სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე სტუდენტისათვის გადაცემული თანხა, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფოს მიერ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად;

წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ პრეზიდენტის სტიპენდიები, რაც მათ დამატებით სტიმულს მისცემს და უმაღლესი განათლების მიღებაში დაეხმარება;

განხორციელდება არასასწავლო პერიოდში სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა.

#### 4.4.5 კონსტიტუციონალიზმის კვლევა (პროგრამული კოდი 32 04 05)

კონსტიტუციონალიზმის პრინციპებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება;

კონსტიტუციონალიზმის სფეროში სამეცნიერო კვლევებისა და საგანმანათლებლო პროგრამების პოტენციალისა და მნიშვნელობის გაზრდა, აგრეთვე კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში ჩართული და დაინტერესებული პირების მიერ სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა.

#### 4.5 საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05)

საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოხდება სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

თანამედროვე უნარ-ჩვევების დაუფლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების უკეთ დაძლევის მიზნით საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან პერსონალური კომპიუტერებით („ნეტბუქებით“), ხოლო წარჩინებული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან პერსონალური კომპიუტერებით;

გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით განხორციელდება სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

- 4.5.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 05 01)

საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.

- 4.5.2 საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 32 05 02)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათი შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვა.

- 4.6 სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 03)

პროგრამა მოიცავს სახელოვნებო განათლების ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია როგორც საქართველოს კულტურისა და მეგლთა დაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობაზე, ისე სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერაზე, მათ შორის, სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა, სტუდენტთა და საშემსრულებლო სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტების სწავლის ხელშეწყობაზე, საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერაზე, პედაგოგთა ხელშეწყობაზე და სხვა.

- 4.7 სამხედრო განათლების განვითარება (პროგრამული კოდი 29 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და ტრანსფორმაციის აუცილებელი პირობაა ადამიანური რესურსების მართვისა და სამხედრო განათლების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება;

ამ მიზნით განხორციელდება საწყისი და უმაღლესი სამხედრო განათლების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება.

- 4.8 სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადება და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 30 03)

ქვეყნის მასშტაბით სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის კადრების მომზადებისა და გადამზადების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია შეარჩევს, მოამზადებს და გადამზადებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლებს იმ სამართლებრივ და პრაქტიკულ საკითხებში, რომლებიც

მნიშვნელოვანია მათი საქმიანობის განსახორციელებლად. სამართალდამცავ ორგანოებში სისხლის სამართლის რეფორმის უკეთ იმპლემენტაციის მიზნით აკადემიაში დაგეგმილია სხვადასხვა ტრენინგისა და სემინარის ჩატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ტესტირებებისა და გასაუბრებების მეთოდით შერჩეული მსმენელები მომზადდებიან სამართალდამცველისათვის საჭირო სამართლებრივ და პრაქტიკულ საკითხებში, შეისწავლიან უცხოურ ენებს, ხოლო საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, რომელთაც სურთ სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობა, დაეუფლებიან ქართულ ენას. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აკადემიაში ინტენსიურად გაგრძელდება როგორც სამინისტროს სისტემის თანამშრომლების გადამზადება, მათ შორის, დასაწინაურებლად, ისე სხვა სახელმწიფო უწყებების თანამშრომლების მომზადება-გადამზადება;

სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობისათვის აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, აკადემიის კორპუსების შეკეთება და ტერიტორიის კეთილმოწყობა. მოხდება აკადემიის ტერიტორიაზე განთავსებული შენობების რეაბილიტაცია და ტერიტორიის კეთილმოწყობა. სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად განახლდება აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

4.9 პენიტენციური სისტემისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება (პროგრამული კოდი 27 03)

სასჯელაღსრულების სისტემის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. „ტრენინგსაჭიროებათა განსაზღვრის სტანდარტული მოდელის“ სამუშაოები გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში დაიწყო. ინდივიდუალური და შუა დონის მენეჯერთა გამოკითხვების შედეგები თანხმდება ზედა დონის მენეჯერებთან და ამის შემდეგ იგეგმება ტრენინგთა ორი ციკლი – გაზაფხულისა და შემოდგომის სეზონებისთვის. ტრენინგების პროცესის მენეჯმენტი მოიცავს ტრენერთა შერჩევას სტანდარტების გათვალისწინებით, მოდიებული კანდიდატურების, დაწვრილებითი თემატიკის, ზუსტი სამიზნე ჯგუფის, დროის და სწავლების მეთოდის შეთანხმებას სამსახურების უფროსებთან, ტრენინგების მოწყობას და საბოლოო ევოლუციას. „ტრენინგსაჭიროებათა განსაზღვრის ოპერატიული მოდელი“ პროცესში ჩართული იქნება საჭიროებიდან/საკანონმდებლო სიახლეებიდან გამომდინარე.

4.10 იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 04)

სახელმწიფო სტრუქტურის მომსახურების გაუმჯობესებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მოხდება სამინისტროს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, მათი პროფესიული განვითარების აუცილებლობით და, მეორე მხრივ, მიმდინარე რეფორმებით. ეს წარმოშობს იმის საჭიროებას, რომ მოხდეს თანამშრომელთა გადამზადება, რათა მათ შეძლონ ფუნქციების ეფექტიანად შესრულება.

4.11 მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება

და კვალიფიკაციის ამაღლება;

ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, უწყებათაშორისი კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზება;

სასწავლო ცენტრის მსმენელთათვის და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის ბიბლიოთეკის შექმნა;

სხვა სახელმწიფო უწყებებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა შერჩევის, შეფასების, მოტივაციისა და ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვასთან დაკავშირებული სხვა სისტემების შემუშავებისა და დანერგვის პროცესში მონაწილეობა;

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სასწავლო კურსების ჩატარება განათლების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობისთვის.

4.12 საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 23 05)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება, თანამდებობრივი ტრენინგების სისტემის დანერგვა და კარიერის განვითარებისკენ მიმართული სასწავლო პროგრამების, სხვა სასწავლო პროექტების განხორციელება; სისტემაში პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მსოფლიოს წამყვან სასწავლო დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი სასერტიფიკაციო და ტრენინგპროგრამების შემუშავება და განხორციელება;

სამინისტროს სისტემაში ახალი, კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და დასაქმების ხელშეწყობა; სისტემაში ახალი კადრების დასაქმების აქტიური მექანიზმის ჩამოყალიბება აკადემიის პერსონალური მრჩეველის პროექტის განვითარებით; სამინისტროს სისტემაში სტაჟიორების პროგრამების განვითარება;

სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორის განვითარებისკენ, ასევე სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმების აქტიური მხარდაჭერა სხვადასხვა სახის სასწავლო-შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო პროექტების, კონსულტირების აქტიური მექანიზმის – ბიზნესსაკონსულტაციო სახლის – ჩამოყალიბებით;

სერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბება სახელმწიფო და კერძო სექტორებში პროფესიული განვითარების სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფის და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით.

4.13 მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 09 02)

მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადების

პროგრამა ემსახურება მომავალი მოსამართლეების, მოქმედი მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებასა და გადამზადებას. პროგრამის მიზანია, სასამართლოს სისტემა დაკომპლექტდეს მაქსიმალურად კვალიფიციური კადრებით და მუდმივად ხდებოდეს ცოდნის დონისა და კვალიფიკაციის ამაღლება.

#### 4.14 საბიბლიოთეკო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 03)

ეროვნული ბიბლიოთეკა, როგორც საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის მთავარი ბიბლიოთეკა, განახორციელებს საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფიულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, საბიბლიოთეკო სტატისტიკური მონაცემების ცენტრალიზებულ შეგროვებასა და ანალიზს, საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო დაცვის კონტროლს, განსაზღვრავს შესაბამისი კადრების მომზადებისა და გადამზადების პოლიტიკას;

მოხდება ელექტრონული ბიბლიოთეკის გაფართოება და შემოთავაზებული სერვისების გამრავალფეროვნება.

#### 4.15 ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება (პროგრამული კოდი 01 04)

სახელმწიფო სიმბოლოებისა და განმასხვავებელი ნიშნების ნიმუშების ჰერალდიკური ექსპერტიზა და მათი შექმნისა და გამოყენების შესახებ შესაბამისი დასკვნების გამოტანა;

ახალი სახელმწიფო სიმბოლოების შემოღების შესახებ ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა და დასკვნების მომზადება;

ქვეყანაში სახელმწიფო სიმბოლიკის და მისი მნიშვნელობის პოპულარიზაცია;

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების სიმბოლოების შექმნა.

#### 5 მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრიორიტეტული მიმართულებაა. მსოფლიო ეკონომიკის არასახარბიელო მდგომარეობის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ეკონომიკის პოზიტიური მაკროეკონომიკური პარამეტრების შენარჩუნება და გაუმჯობესება, ვინაიდან ეს მაჩვენებლები მთავარი წინაპირობაა კაპიტალისა და ინვესტიციების მოზიდვისათვის, არსებული საწარმოების გაფართოებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ეკონომიკა ინტეგრირებულია მსოფლიო ეკონომიკაში და, შესაბამისად, განიცდის მასში მიმდინარე პროცესების გავლენას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჯანსაღი მაკროეკონომიკური პარამეტრების შენარჩუნებას და მათ გასაუმჯობესებლად ღონისძიებების განხორციელებას;

პრიორიტეტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად დაგეგმილი სამუშაოები რამდენიმე მიმართულებას მოიცავს, კერძოდ, გულისხმობს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაღალი მაჩვენებლის მიღწევას, სახელმწიფო ვალის ეფექტიან მართვას, ბიუჯეტის

დეფიციტის შემცირებას და ინფლაციის დონის დარეგულირებას;

საგარეო სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკა უზრუნველყოფს საგარეო სახელმწიფო ვალის პორტფელის ხელსაყრელი ფინანსური პარამეტრების შენარჩუნებას და მის მდგრადობას. ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება საგარეო სახელმწიფო ვალის კონსერვატიული და პრაგმატული მართვით. სხვადასხვა ტიპის გლობალური/ეგზოგენური რისკებისა და გამოწვევების არსებობის პირობებში ფისკალური მდგრადობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა ქვეყანამ შეინარჩუნოს ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, 2014 წლისათვის სახელმწიფო ვალი ლიმიტირებულია და არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს. ამასთანავე, სახელმწიფო გეგმავს ღონისძიებების გატარებას, რათა თანამიმდევრულად შემცირდეს სახელმწიფო საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 25%-მდე საშუალოვადიან პერიოდში და შენარჩუნდეს ვალის ყოველწლიური მომსახურების ოპტიმალური დონე;

გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობისათვის სახელმწიფოს მიერ ვალდებულებების სათანადო დონეზე შესასრულებლად და ინვესტორთა ნდობის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანი პარამეტრია ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი. მაქსიმალურად დაბალანსებული ბიუჯეტით უზრუნველყოფილი იქნება ეკონომიკური სტიმულირება და გლობალური ეკონომიკური გამოწვევების შემთხვევაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, 2014 წლისათვის ბიუჯეტის დეფიციტი არ გადააჭარბებს მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს;

სახელმწიფო განაგრძობს „მცირე მთავრობის“ პოლიტიკას, რათა საგადასახადო წნეხმა და მთავრობის აქტივობამ არ შეზღუდოს სამეწარმეო აქტივობის არეალი კერძო ინიციატივებისა და ინვესტიციებისათვის;

თავისუფალი ეკონომიკური კურსი, დაბალი და მარტივი გადასახადები, ხარისხიანი საგადასახადო ადმინისტრირება, გონივრული და ზომიერი რეგულაციები უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად საჭირო გარემოს შექმნას. შესაბამისად, პრიორიტეტის ფარგლებში გატარდება ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საგადასახადო და მარეგულირებელი ადმინისტრირების ტვირთის მეწარმეთა სიმძლავრის პროპორციულად გადანაწილებას და ამით მცირე და საშუალო მეწარმეობის მეტ სტიმულირებას;

გაგრძელდება მუშაობა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების კუთხით, რათა საქართველოში ეკონომიკური საქმიანობა კომფორტული იყოს როგორც საქართველოს მოქალაქეებისათვის, ისე არარეზიდენტი პირებისათვის. პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მიმართული იქნება ქვეყანაში საუკეთესო საინვესტიციო გარემოს შექმნისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისაკენ, რაც გულისხმობს სამუშაოების ჩატარებას, რათა საქართველომ შეინარჩუნოს და გააძლიეროს თავისი პოზიცია, როგორც რეგიონის ლიდერმა, დაბალი გადასახადების, სწრაფი და ხარისხიანი მომსახურების სერვისების, ლიბერალური კანონმდებლობისა და სტაბილური განვითარების მაჩვენებლების კუთხით;

პრიორიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილია ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და მიღწეული წარმატებების შესახებ სათანადო ინფორმაციისა და მონაცემების

სწორი და ეფექტიანი დამუშავება და აქტიური მიწოდება მსოფლიო საზოგადოებისათვის, რათა მეტმა ინვესტორმა მიაპყროს ყურადღება ქვეყნის საინვესტიციო გარემოს;

გაგრძელება მუშაობა თავისუფალი და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების გამოყენების გაუმჯობესების, საქონლის ექსპორტის და ინვესტიციების ზრდის კუთხით. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ საუკეთესო ბიზნესკლიმატის შექმნით, იმ სისუსტეების გათვალისწინებით, რომლებიც აქვს საქართველოს მისი ბაზრის ზომიდან და გეოპოლიტიკური გამოწვევებიდან გამომდინარე. სახელმწიფოს „ახალი კურსი“ საგადასახადო სისტემისა და ადმინისტრირების გამარტივების მიზნით, კონკურენტული და არაკორუფციული გარემოს შენარჩუნება და გაუმჯობესება, შრომის ბაზრის მაქსიმალურად მოქნილი რეგულაციები და თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მხარდაჭერა უზრუნველყოფს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და პოზიტიური სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებას საქართველოში და მისი, როგორც „ბიზნესპლატფორმის“, როლის გაზრდას რეგიონში;

დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და შრომითი რესურსების სწორი მართვა.

## 5.1 სახელმწიფო ფინანსების მართვა (პროგრამული კოდი 23 01)

მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის სახელმწიფო ფინანსების ეფექტიან მართვას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. გასულ პერიოდში განხორციელებული რეფორმების შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა სახელმწიფო ფინანსების მართვის ძლიერი სტრუქტურა, თუმცა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით აუცილებელია რეფორმების გაგრძელება და სახელმწიფო ფინანსების მართვის განვითარება;

მაკროეკონომიკური პროგნოზირების სრულყოფის შედეგად შესაძლებელი გახდება ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვა, ისე, რომ, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფო პრიორიტეტების დაფინანსება და, მეორე მხრივ, შენარჩუნდეს ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა;

გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილია საბიუჯეტო დეფიციტის ეტაპობრივი შემცირება;

გაგრძელება მოლაპარაკებები დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, რათა შესაძლებელი იყოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის დასაფინანსებლად დამატებითი რესურსების მოზიდვა ქვეყნისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობებით;

დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის პარალელურად გაგრძელდება საგარეო სახელმწიფო ვალის კონტროლი. აუცილებელია, საგარეო სახელმწიფო ვალის პორტფელმა შეინარჩუნოს ხელსაყრელი ფინანსური პარამეტრები, რომლებიც უზრუნველყოფს მის მდგრადობას როგორც საშუალოვადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში;

საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციების გათვალისწინებით გაგრძელდება სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რაც ხელს შეუწყობს



ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას;

საბიუჯეტო სისტემის ლიკვიდურობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზების შედგენა და მართვა;

განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების ზუსტი და ოპერატიული აღრიცხვა. გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ოპერატიული, ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება. დაიხვეწება ბიუჯეტის ანგარიშების ფორმები;

გაგრძელდება რეფორმები საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების განვითარების მიზნით. პროგრამული ბიუჯეტი სრულად დაინერგება როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესში;

მუდმივად განახლდება საჯარო სამართლის იურიდიული პირების მონაცემთა ბაზა;

გაგრძელდება საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების საერთო მეთოდოლოგიის შემუშავება, ასევე საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვა;

გაუმჯობესდება ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ელექტრონული პროგრამა, მოხდება სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის შემუშავება და დანერგვა;

სხვადასხვა ქვეყანასთან გაგრძელდება მოლაპარაკებები ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით.

## 5.2 ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 23 04)

შეიქმნება ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფისათვის საჭირო კონსოლიდირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილი იქნება მისი საიმედო და ეფექტიანი მუშაობა და განვითარება;

დაგეგმილია საბიუჯეტო პროცესის განვითარებისა და სრულყოფის საინფორმაციო-ტექნოლოგიური მხარდაჭერა, მხარჯავი დაწესებულებების ბიუჯეტების დაგეგმვის სისტემაში პროგრამული ბიუჯეტირების მხარდაჭერა;

ასევე დაგეგმილია საჯარო სამართლის იურიდიული პირების მონაცემთა ბაზის მხარდაჭერა, ფინანსური საინფორმაციო პორტალის შექმნა, სისტემური და სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის და მონაცემთა ბაზების ლიცენზიების შესყიდვა, საინფორმაციო სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია.

## 5.3 შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება

საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს განვითარებისათვის, საგადასახადო სისტემისა და ადმინისტრირების გამარტივების მიზნით შემუშავდა საგადასახადო პოლიტიკის „ახალი კურსი“. გაგრძელდება საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და პროცედურების დახვეწა, გადამხდელთა მომსახურების გასაუმჯობესებლად ელექტრონული მომსახურების განვითარება, საგადასახადო პოლიტიკაში დაგეგმილი რეფორმების შესახებ საზოგადოებისა და გადამხდელთა სისტემატური ინფორმირება;

განხორციელდება GPS სისტემით აღჭურვილ სალარო აპარატებზე გადასვლა. ეს აპარატები მუდმივ რეჟიმში მიაწვდის ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რაც შეამცირებს ინვენტარიზაციის ჩატარების ან ობიექტების დალუქვის აუცილებლობას;

დაგეგმილია ალტერნატიული საგადასახადო აუდიტის უფრო ფართოდ დანერგვა.

#### 5.4 ეკონომიკური პოლიტიკა და სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 01)

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;

მიზნობრივი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნა, რომელიც არის ინვესტიციების მოზიდვის საფუძველი და ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს;

საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნების ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, სატრანზიტო გადაზიდვების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

ქვეყანაში საინფორმაციო საზოგადოების შექმნის ხელშეწყობი საინფორმაციო კომუნიკაციების და საფოსტო კავშირის სფეროს განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

სამშენებლო სფეროს ლიბერალიზაცია მისი განვითარების მიზნით;

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარება და სავაჭრო სტრუქტურის გაუმჯობესება, ასევე არსებული სავაჭრო ურთიერთობების განმტკიცება და ურთიერთობების დამყარება ახალ სავაჭრო პარტნიორებთან;

სახელმწიფო ქონების მოვლა-შენახვა და ეტაპობრივი პრივატიზება.

##### 5.4.1 ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01 01)

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზი, სექტორული კვლევა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად; ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიზნით სხვადასხვა პროექტის შემუშავება და ინიცირება;

ეკონომიკის სფეროში სხვადასხვა ინფორმაციული დოკუმენტის შემუშავება,

დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობა და მდგრადი განვითარების საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

საგარეო სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურული გაუმჯობესებისა და სავაჭრო რეჟიმების განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და პარტნიორ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების რეგულარული ანალიზი;

ორმხრივი რეგიონული და მრავალმხრივი ურთიერთობების, ასევე პრეფერენციული რეჟიმების განვითარება;

ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით რეგიონში არსებული მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი და საერთო პოლიტიკის შემუშავება;

საქართველოს სატრანსპორტო სექტორის ნორმატიული ბაზის საერთაშორისო ნორმებთან და წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაღრმავება და სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების განხორციელება;

საქართველოს საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია და ისეთი საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა, რომლებიც მიმართულია სატრანზიტო გადაზიდვების გაზრდისკენ;

ქვეყანაში საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარება (მათ შორის, ქალაქ ქუთაისში კოპიტნარის აეროპორტის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროცესში თანამონაწილეობა);

სამშენებლო სფეროს შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით შესაბამისი (მათ შორის, საკანონმდებლო) ცვლილებების განხორციელება;

მარკეტინგული კომუნიკაციებისა და პრივატიზების პროცესების განვითარება;

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების ერთიანი რეესტრის შექმნა, მათი ხელყოფისაგან დაცვა.

#### 5.4.2 სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 01 02)

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოთა მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარება მათი ლიკვიდურობის ღონის ამაღლების მიზნით;

საწარმოების ქონებრივი და ფინანსური დანახარჯების ოპტიმიზაცია, მათი განვითარების ბიზნესგეგმების დამტკიცება და კრედიტების აღებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება;

საწარმოების მონაცემთა ელექტრონული ბაზის მოდერნიზება, საწარმოების შერწყმა, ლიკვიდირება, გაკოტრება და მათი ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით პრივატიზებისათვის შესაბამისი წინადადებების მომზადება;

პრივატიზაციის პროცესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მისი სრული

ელექტრონიზაცია (მათ შორის, სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან, სახელმწიფო ხაზინასა და კომერციულ ბანკებთან ერთად საპრივატიზაციო თანხების გადახდისა და დადასტურების ავტომატიზაციის პროცესის განხორციელება).

#### 5.4.3 სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 24 01 03)

სამთავრობო რეზიდენციებში საქართველოსა და სხვა ქვეყნების მაღალი რანგის თანამდებობის პირთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა; სახელმწიფო ობიექტების თანამედროვე ინვენტარითა და დანადგარებით აღჭურვა, მათი მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია.

#### 5.5 ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 03)

ქვეყნისათვის სტრატეგიული სექტორების განვითარების და ამ სექტორებში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით სექტორული კვლევების ჩატარება და მათ საფუძველზე კონკრეტული საინვესტიციო წინადადებებისა და პროექტების მომზადება;

პოტენციური უცხოელი ინვესტორების დაინტერესება და მათთვის დახმარების გაწევის მიზნით სხვადასხვა პროექტის განხორციელება, მათ შორის, წინა წლებში შემოსული ინვესტორებისათვის „Aftercare“-ს სისტემის ჩამოყალიბება;

ექსპორტის მოცულობის გასაზრდელად და ახალი ბაზრების ასათვისებლად ბაზრის კვლევა;

ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით ქართული პროდუქტების ონლაინკატალოგის შექმნა, საერთაშორისო მედიასაშუალებების მეშვეობით მიზნობრივი საიმიჯო სარეკლამო კამპანიების წარმოება, საერთაშორისო გამოფენებში, ტრეიდშოუებსა და პროდუქციის წარმოსაჩენ ღონისძიებებში მონაწილეობა;

ქვეყნის ცნობადობის ასამაღლებლად ბიზნესფორუმების გამართვა, პროდუქციის გამოფენებისა და „ბიზნესი ბიზნესს“ შეხვედრების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებსა და სავაჭრო გამოფენებში მონაწილეობა;

პროდუქციის ექსპორტზე ორიენტირებული ქართული კომპანიების ხელშეწყობის მიზნით ექსპორტის საინფორმაციო ცენტრის შექმნა და მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრების დაარსება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათი ბიზნესსაქმიანობის გაფართოებისა და ეფექტიანად წარმართვისათვის საინფორმაციო უზრუნველყოფა და კონსულტირება ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

მცირე ბიზნესის ხელშეწყობა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კუთხით;

პროდუქციის ექსპორტზე ორიენტირებული ქართული კომპანიების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება ექსპორტის საკითხებთან დაკავშირებით.

#### 5.6 სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)

სტატისტიკური საქმიანობის დროს გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შემუშავება;

სტატისტიკური სამუშაოების პროგრამების შემუშავება;

სტატისტიკური კვლევების მართვისა და განხორციელების მიზნით მათი საჭირო საკადრო და ადმინისტრაციული რესურსებით უზრუნველყოფა;

სტატისტიკური კვლევების მხარდაჭერა ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით.

#### 5.7 სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა მოიცავს ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სტატისტიკური კვლევების მომზადებას, განხორციელებას და მათი შედეგების გავრცელებას;

დაგეგმილია ეროვნული ანგარიშების წარმოებისთვის დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობის განსაზღვრა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალისა და საინვესტიციო მიკროკლიმატის შეფასება, სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება, ბიზნესსექტორში (აგრეთვე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში) მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზი, შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროებში, კერძო და სახელმწიფო სექტორებში, მიმდინარე დემოგრაფიული კვლევა.

#### 5.8 მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (პროგრამული კოდი 47 03)

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით განხორციელდება საქართველოს თითოეული დასახლების დარაიონება, რომლის მიზანია მოსახლეობის რაოდენობის ზუსტი აღრიცხვა.

#### 5.9 შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის პროგრამა (პროგრამული კოდი 47 04)

შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის პროგრამა 1996 წლიდან მიმდინარეობს. მისი მიზანია საქართველოს შინამეურნეობების შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება;

მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შეფასების მიზნით დადგინდება სიღარიბის, დასაქმებისა და უმუშევრობის, შემოსავლებისა და ხარჯების, ჯანმრთელობის დაცვის სხვა მაჩვენებლები.

#### 5.10 სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამა (პროგრამული კოდი 47 05)

სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამა 2007 წლიდან მიმდინარეობს. მისი მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება. სასოფლო მეურნეობების შერჩევითი

კვლევა ამჟამად სოფლის მეურნეობის ოფიციალური სტატისტიკის ერთადერთი წყაროა. კვლევის ერთი რაუნდი, რომელიც მოიცავს საწყის, 3 კვარტალურ და დასკვნით გამოკითხვებს და ტარდება შემთხვევითი პროცედურით შერჩეული 5000 სასოფლო მეურნეობის უშუალო გამოკითხვის გზით, გაგრძელდება ერთი წლის განმავლობაში.

5.11 სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 04)

ქვეყნისათვის პრიორიტეტულ სფეროებში ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვა, საერთაშორისო დონეზე აღიარების მიღწევა;

სსიპ – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მისი მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში ინტეგრაცია, აგრეთვე ტექნიკური აღჭურვის მოდერნიზაცია;

სტანდარტების მონაცემთა ბაზის განახლება და მომსახურების ელექტრონული საშუალებების დანერგვა.

5.12 აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (პროგრამული კოდი 24 05)

აკრედიტაციის სისტემის წარმართვა და მისი საერთაშორისო ორგანიზაციების – EA (European Cooperation for Accreditation), ILAC (International Laboratory Accreditation Cooperation), IAF (International Accreditation Forum) – მოთხოვნებთან ჰარმონიზაცია;

სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის აღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაცია და საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DC FTA) გაფორმების წინაპირობის შესრულება.

5.13 სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (პროგრამული კოდი 43 00)

სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიზანია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების და თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში შესყიდვების პროცედურების კანონიერების ზედამხედველობა, შესყიდვების პროცესის რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრა და ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საქართველოში თავისუფალ ვაჭრობასა და კონკურენციასთან დაკავშირებული ბარიერების მოხსნა, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმების მიუხედავად.

5.14 დასაქმების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 50 00)

დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად შესაბამისი

სამოქმედო გეგმის განხორციელება;

შესაბამის სტრუქტურებთან ერთად დასაქმებასთან დაკავშირებული საინფორმაციო ბაზების მოწესრიგება და განახლება, მოსახლეობის დასაქმების და შრომითი რესურსის გამოყენების, ასევე შრომის ბაზრის ანალიზი, დასაქმების სფეროში მონიტორინგის განხორციელება;

დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებში მოსახლეობისათვის შესაბამისი კონსულტაციისა და სამართლებრივი დახმარების გაწევა;

შრომის ბაზარზე ორიენტირებული გადამზადების პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა;

საქართველოში დასაქმებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის მოწესრიგება და განახლება.

5.15 აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება (პროგრამული კოდი 01 02)

აუდიტორული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების განხორციელება, კერძოდ: აუდიტის ჩატარების სტანდარტებისა და მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება, აუდიტორთა ატესტაციისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება და დამტკიცება, აუდიტორთა ატესტაციის ჩატარების დებულების დამტკიცება, აუდიტორთა ატესტაცია, აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირების დებულების შემუშავება და დამტკიცება, აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირება, აუდიტორთა კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის შექმნა და სხვა.

5.16 სახელმწიფო აუდიტის სამსახური (პროგრამული კოდი 05 00)

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამედროვე, დამოუკიდებელ, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სარგებლობს საზოგადოების მაღალი ნდობით;

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების თანამედროვე სანიმუშო პრაქტიკის გაცნობა და აუდიტორთა პროფესიული ცნობიერების ამაღლება აუდიტორული ცოდნითა და უნარებით;

გარე აუდიტის შესაძლებლობების, საკანონმდებლო მანდატისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;

სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვისა და ეფექტიანობის ხელშეწყობა;

კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

6 ქვეყნის ინსტიტუციური განვითარება და მისი ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

ქვეყნის ინსტიტუციური განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძლიერი წარმომადგენლობითი ორგანოს გამართული ფუნქციონირება, ვინაიდან იგი არის ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი,

საკანონმდებლო და მაკონტროლებელი ფუნქციების მქონე ხელისუფლების შტო. პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების მეშვეობით სახელმწიფო განაგრძობს ქვეყნის მიერ აღიარებული დემოკრატიული ღირებულებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერას, სამოქალაქო პლურალიზმის ხელშეწყობას და საარჩევნო სისტემის დახვეწას;

პრიორიტეტი ასევე ითვალისწინებს სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას.

#### 6.1 საკანონმდებლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 01)

საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონტროლს უწევს საქართველოს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

#### 6.2 საარჩევნო გარემოს განვითარება (პროგრამული კოდი 06 01)

რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვა, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა ასარჩევად საყოველთაო არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა;

არჩევნებისა და რეფერენდუმის/პლებისციტის მონაწილეთა მიერ თავიანთი კანონიერი უფლებების დაუბრკოლებლად განხორციელების უზრუნველყოფა;

არჩევნების პროცესთან დაკავშირებული სამოქალაქო აქტივობების მხარდაჭერა და ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო კულტურის ამაღლება;

ამომრჩეველთა ინფორმირების ინსტრუმენტების შექმნა, პროფესიული ეთიკის ელემენტების გაძლიერება, სავალდებულო ტრენინგების, სერტიფიცირების, დისტანციური და ელექტრონული სწავლების მეთოდების დანერგვა;

ეფექტიანი საკომუნიკაციო არხების განვითარება, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მასმედიის, სოციალური ქსელებისა და პირდაპირი კავშირების გამოყენება;

საარჩევნო პროცესის დაგეგმვა, არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა.

#### 6.3 არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად ფორმირება;

საარჩევნო სიების მონიტორინგი, არჩევნების ფინანსური და ტექნიკური უზრუნველყოფა,



სარეკლამო კამპანიის წარმართვა; მედიამონიტორინგი.

- 6.4 საარჩევნო სისტემების განვითარება და სისტემისათვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 06 03)

საარჩევნო პროცესებისა და რეფორმების ხელშეწყობა;

არჩევნების მონიტორინგი;

დაინტერესებულ პირთა და მოხელეთა სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება;

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

- 6.5 პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 04)

პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თანხების პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე თანაბრად განაწილების (50-50%) და პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების მათ მიერ მისაღები საბაზო დაფინანსების პროპორციულად განაწილების უზრუნველყოფა;

არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტების გაცემის უზრუნველყოფა.

- 6.6 ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 06)

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის პროექტ „კარდაკარის“ მეშვეობით და კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლება და დაზუსტება.

- 6.7 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (პროგრამული კოდი 41 00)

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმური და არაგეგმური მონიტორინგის განხორციელება;

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

თავისუფლების შეზღუდვის ადგილებსა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება;

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალიზებული ცენტრების (ბავშვისა და ქალის უფლებათა დაცვის ცენტრი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი) და სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა;

სამოქალაქო განათლების მიზნით სოციალური რეკლამის დამზადება და მედიასაშუალებებში განთავსება;

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა, თარგმნა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა;

ადამიანის უფლებათა თემაზე სხვადასხვა პუბლიკაციის გამოცემა და გავრცელება;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოქალაქეთა უფლებების დარღვევის შესახებ შემოსული განცხადებებისა და საჩივრების მიღება, რეგისტრაცია, სტრუქტურული ერთეულებისათვის გადანაწილება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

საქართველოს მოქალაქეთა, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა.

6.8 სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 26 01)

სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და კონტროლი;

სისხლის სამართლის რეფორმის ტექნიკური მხარდაჭერა სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შესაბამისად;

აღნიშნულ რეფორმაში ჩართულ უწყებებს, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და მიმდინარე რეფორმის მონიტორინგი;

მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის გადახედვა;

სისხლის სამართლის სისტემაში ჩართულ სტრუქტურებს შორის კავშირის ოპტიმიზაცია;

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გაუმჯობესება დანაშაულის პრევენციისა და განრიდების პროგრამის გაფართოებით.

6.9 იუსტიციის სახლების ფარგლებში მომსახურებათა ეფექტიანი წარმოება და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 06)

მომხმარებელთა ინფორმაციული საჭიროებების გათვალისწინებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა და ამომწურავი

ინფორმაციის დროულად გაცემა;

კონფიდენციალურობის დაცვა და მონაცემთა ბაზის სრული დაცულობა არასანქციონირებული შეღწევისაგან ან ბოროტად გამოყენებისაგან;

ყველა ინფორმაციის რეალურ დროში, ონლაინრეჟიმის გამოყენებით განახლება.

- 6.10 ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)

სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივის რეგიონული ოფისების ცენტრალიზაცია, მათი ინფრასტრუქტურის განახლება;

საარქივო ფონდის დაცვა-შენახვის სისტემის გაუმჯობესება;

ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა.

- 6.11 ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

გეოგრაფიულად განაწილებული სხვადასხვა საინფორმაციო სისტემის ერთ სისტემაში გაერთიანება და ყველა ელექტრონული სერვისის „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მიწოდება;

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელიც უკავშირდება საჯარო, სამსახურებრივი, საიდუმლო და სხვა ინფორმაციების გამიჯვნას და გამორიცხავს მონაცემების არასანქციონირებულ წვდომას.

- 6.12 ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება (პროგრამული კოდი 26 08)

პროგრამის განხორციელებისას სსიპ – „სმარტ ლოჯიქში“ დაინერგება მენეჯერული პროცესები, რაც მას სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ერთდროულად მომსახურების საშუალებას მისცემს. მომსახურებაში იგულისხმება IT სერვისების სრული სპექტრი: ქსელური უზრუნველყოფა, ელექტრონული ფოსტის სერვისი, ონლაინკომუნიკაციის საშუალებები, ტელე- და ვიდეოკონფერენციები, დროისა და დავალებების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის გატარება, არასასურველი და მავნე ელექტრონული ფოსტისაგან, პროგრამისა და ვირუსისაგან დაცვა, სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ერთიანი IT მხარდაჭერის სატელეფონო ცენტრის შექმნა და ინციდენტების მართვა, ციფრული სატელეფონო სერვისი და სხვა.

- 6.13 საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია (პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის საქართველოს პარლამენტთან, საქართველოს მთავრობასთან და სხვა ინსტიტუტებთან ურთიერთობების კოორდინაცია;

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვის უზრუნველსაყოფად შესაბამისი პირობების შექმნა და საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს პრეზიდენტის მმართველობის სფეროსთვის მიკუთვნებული სხვა საკითხების რეგულირების ხელშეწყობა.

6.14 საქართველოს მთავრობის კანცელარია (პროგრამული კოდი 04 00)

საქართველოს მთავრობის კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებისათვის პირობების შექმნა;

სამინისტროების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების და სამინისტროების სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის ორგანიზების ხელშეწყობა;

საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელება;

საქართველოს პრემიერ-მინისტრის საქმიანობის ინფორმაციული და ანალიტიკური უზრუნველყოფა;

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხთა გადაწყვეტის ხელშეწყობა;

საგადასახადო ომბუდსმენის და მისი აპარატის საქმიანობის ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

6.15 საჯარო სამსახურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება (პროგრამული კოდი 02 02)

საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა;

სახელმწიფო ორგანოთა საკადრო სამსახურების მუშაობის კოორდინაცია;

საჯარო სამსახურის სფეროში არსებული მდგომარეობისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების შესრულების ანალიზი;

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მიღება, დამუშავება და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

6.16 საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (პროგრამული კოდი 30 06)

პროგრამა ითვალისწინებს:

ა) ყოფილი საქართველოს სსრ-ის უშიშროების ორგანოების (ЧК – საგანგებო კომისია, ГПУ

– სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, НКВД – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, КГБ – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, МГБ – სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, МВД – შინაგან საქმეთა სამინისტრო) და ყოფილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საარქივო მასალების დამუშავება-დიგიტალიზაციას მათი კვლევის მიზნით;

ბ) დაზიანებული საქმეების გამოვლენას, მათ აღდგენას, რესტავრაციასა და კონსერვაციას;

გ) საარქივო მასალების საფუძველზე საერთაშორისო კვლევების ჩატარებას მათი სამეცნიერო-ისტორიული დამუშავებისა და პუბლიკაციების გამოცემის მიზნით.

6.17 სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციები (პროგრამული კოდები 11 00–19 00)

სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციები შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან კოორდინაციით განახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების განვითარების სტრატეგიებისა და პრიორიტეტების დოკუმენტების შემუშავებას, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით წინადადებების მომზადებას, სეზონური სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების სალიკვიდაციო ღონისძიებებში მონაწილეობას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის კონტროლს.

7 იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა მოსახლეობისადმი სახელმწიფოს ვალდებულებების ნაწილია და, შესაბამისად, სახელმწიფოსთვის ამ კუთხით განსახორციელებელი პროგრამები და ღონისძიებები პრიორიტეტული მიმართულებაა. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე და დევნილთა საკუთარ სახლებში დაბრუნებამდე სახელმწიფო განაგრძობს ზრუნვას იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შეთავაზების მიზნით, რაც გულისხმობს როგორც დევნილთა სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციის, ისე დევნილთათვის საცხოვრებელი ფართობების დაკანონების და მათი გონივრული განსახლების ღონისძიებებს, რათა ყველა დევნილს ღირსეულ პირობებში ცხოვრების საშუალება მიეცეს. იძულებით გადაადგილებული პირების საზოგადოებაში სრული ინტეგრაციის მიზნით მათთვის სათანადო პირობების შექმნა კერძო საკუთრების მოპოვებისა და დასაქმების გზით ხორციელდება იმ დათქმით, რომ მათი, როგორც საქართველოს მოქალაქეების, უფლება, დაბრუნდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ისევე, როგორც მათი საკუთრების უფლება, შეუქცევია;

სახელმწიფო ასევე განაგრძობს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას ლტოლვილთა დახმარების, რეადმისიის ხელშეკრულების საფუძველზე დაბრუნებულთა რეინტეგრაციისა და ეკომიგრანტთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის მიზნით.

7.1 იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო

ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით დევნილთა, ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა, თავშესაფრის მაძიებელთა, რეპატრიანტთა მიგრაციული ნაკადების რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაციისათვის და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საჭირო პირობების შექმნა და სოციალური დაცვა;

დევნილთა თვითკმარობის გაზრდა, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირება-აღმოფხვრა და უკიდურესად გაჭირვებული, დაუცველი დევნილების ერთიან სოციალურ პროგრამებში ინტეგრირება საერთო კრიტერიუმების საფუძველზე;

რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების სისტემატიზაცია, ანალიზი და განხილვა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად;

არალეგალური მიგრაციის პრევენცია, დროებითი ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობის გაზრდა;

რეადმისიის ხელშეკრულების საფუძველზე დაბრუნებულთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოთხოვნის მქონე დევნილების განსაზღვრა ამ ქონების შემდგომი პრივატიზების პროცესის მოსამზადებლად;

ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება და ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

## 7.2 განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 34 02)

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009–2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ღონისძიებების განხორციელება, მათთვის საცხოვრებელი ფართობების კერძო საკუთრებაში გადაცემა;

საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ეკონომიკური რეინტეგრაციის ხელშეწყობა შემდეგი გზით:

ა) კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში არსებულ დევნილთა თემებში (სამიზნე თემი) იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ხელსაყრელი პირობების გაუმჯობესება, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ თემის განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებებში;

ბ) სამიზნე თემებისათვის ძირითადი ინფრასტრუქტურის, მომსახურების, დასაქმებისა და საარსებო ხელსაყრელი პირობების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

გ) იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდასაჭერად ეროვნული ქმედითობის გაზრდა; თემების სოციალური და ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად სამიზნე თემების

მობილიზაცია, მიკროპროექტის მართვის სათემო კომიტეტების არჩევა, მთავარი პრიორიტეტის შერჩევა, მიკროპროექტის მომზადება და განხორციელება; თემის მობილიზაციისათვის კონსულტანტების დაქირავება, კონსულტანტების მიერ თემის წევრებისათვის და მიკროპროექტის მართვის სათემო კომიტეტის წევრებისათვის სათანადო ტრენინგების ჩატარება;

სავალალო მდგომარეობაში მყოფი დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტების შესწავლა და რეაბილიტაცია;

კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებში დევნილთა რაოდენობის დაზუსტება და მათთვის კომუნალური (ელექტროენერგიის, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ასენიზაციის, დასუფთავების, დეზინფექციისა და დერატიზაციის) და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება.

### 7.3 იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 25 05)

იძულებით გადაადგილებული პირების სოციალური დაცვის, მათთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დევნილთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა-რეაბილიტაცია და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება.

### 7.4 რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 22 00)

ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში:

ა) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის რეინტეგრაციის მიზნით შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება;

ბ) ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური და ნდობის გაღრმავებისათვის განსახორციელებელი პროექტების ხელშეწყობა, მოსახლეობისათვის ადმინისტრაციულ და სხვა საკითხებში დახმარების გაწევა;

გ) ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატში მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების დაცვა;

დ) მოსახლეობის საქართველოს სამართლებრივ და სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევა და გამყოფი ხაზით დაშორიშორებულ ხალხებს შორის ნდობის აღდგენა.

### 8 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად აუცილებელია, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მისი მდიდარი კულტურული ტრადიციების დაცვასა და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი

(როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა;

შესაბამისად, სახელმწიფო განაგრძობს ქვეყნის მნიშვნელოვანი კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, საქართველოს კულტურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და რეაბილიტაციას;

პრიორიტეტის ფარგლებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული სპორტის განვითარებას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და მათთვის სხვადასხვა ტიპის სოციალური გარანტიების შეთავაზებას, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს;

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი პროგრამები ასევე მიზნად ისახავს ახალგაზრდების სხვადასხვა ასპარეზზე მხარდაჭერას და მათი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

#### 8.1 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 33 01)

კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია;

ერთიანი სამუზეუმო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა;

კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა და ახალგაზრდა შემოქმედთა მხარდაჭერა;

საზღვარგარეთ საქართველოს კულტურის ცენტრების შექმნის ხელშეწყობა, კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზება.

#### 8.2 ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მისი ფარგლების გარეთ (პროგრამული კოდი 33 02)

ქვეყნის პოპულარიზაციის და მისი პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბების მიზნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც საქართველოს მიმართ ინტერესს გააღვივებს და მას სათანადო ადგილს დაუმკვიდრებს ევროპული ცივილიზაციის ისტორიულ და მიმდინარე კონტექსტებში;

სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობა, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ტრადიციების დაცვა და განვითარება;

ქვეყანაში ხელოვნების პოპულარიზაცია, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში საერთაშორისო თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, კინო- და საბალეტო ხელოვნების, წიგნის ფესტივალების, კონცერტებისა და გამოფენების მოწყობის ხელშეწყობა;



შემოქმედებითი (მათ შორის, ფოლკლორული) კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების სხვადასხვა ქვეყანაში გასამართ ფესტივალებში, კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

რეგიონების თეატრების გასტროლების ხელშეწყობა, აგრეთვე მათი სადადგმო და ტექნიკური აღჭურვილობის ხარჯების დაფარვა.

### 8.3 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 04)

მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვა;

მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ტექნიკური ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების შექმნა მათი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის;

სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკა, ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია;

UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება, ქვეყნის ფარგლების გარეთ არსებულ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი, შესწავლა, შესაბამის სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

#### 8.3.1 მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 04 01)

მუზეუმების ახალ ექსპოზიციასა და მოძრავ გამოფენათა მოწყობა, მუზეუმებში არსებული ექსპონატების განახლება, მუზეუმების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა, მუზეუმების ფონდების პასპორტიზაცია, ახალი პუბლიკაციების გამოცემა, საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვა-კონსერვაცია თანამედროვე გამოცდილების გათვალისწინებით;

მუზეუმებში შენახული საგანძურის დაცვის პირობების გაუმჯობესება და ტექნიკური პრობლემების მოგვარება.

#### 8.3.2 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 33 04 02)

საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების (ისტორიული დასახლებებისა და ქალაქების), კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია;

მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ტექნიკური ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების შექმნა მათი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის;

სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკა, ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია;

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მდგომარეობის კონტროლის, პრევენციული კონსერვაციისა და რისკისათვის მზადყოფნის მიზნით ეფექტიანი მექანიზმების შექმნა;

ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შექმნის მიზნით კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზის შევსება;

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება;

ქვეყნის ფარგლების გარეთ არსებულ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი, შესწავლა, შესაბამის სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

#### 8.4 სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 39 01)

ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია;

სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა;

სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტის სფეროში კვალიფიკაციის ამაღლების კოორდინაცია, ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის შემუშავება და დამტკიცება, სპორტის სახეობათა, პროფესიული და მოყვარულთა სპორტული კლუბებისა და ორგანიზაციების სტატუსის განსაზღვრა;

სპორტულ ასოციაციებთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებსა და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა;

სპორტში აკრძალულ მასტიმულირებელ საშუალებათა გამოყენების აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელება; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;

ახალგაზრდა მეცნიერთა, სპორტსმენთა და შემოქმედთა სახელმწიფო მხარდაჭერა, კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან ერთად განხორციელება;

სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების განვითარებისათვის საჭირო კაპიტალური მშენებლობის, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

#### 8.5 სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 02)

ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადება და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში

(მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები) მონაწილეობა;

საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარება, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება;

ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა (მათ შორის, საზღვარგარეთიდან მოწვეული წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით ქართველი ფეხბურთის მწვრთნელებისათვის საერთაშორისო დონის სასწავლო კურსების ჩატარება), საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება და რეაბილიტაცია, ეროვნული, სხვადასხვა ასაკობრივი, ქალთა და ფუტსალის ნაკრებებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა;

ქართული რაგბის განვითარება და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად წარმოჩენა;

ქართული კალათბურთის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, საკალათბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება და რეაბილიტაცია, ეროვნული და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა, წინსვლაში ხელის შეწყობა და მათი ყოველმხრივი დახმარება;

ოლიმპიური თამაშებისათვის მეტი ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად საქართველოს ნაკრები გუნდების მზადება და ოლიმპიადებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის ხელშეწყობა;

საქართველოს რეგიონებში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარება;

საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა/რეაბილიტაცია (მათ შორის, საჯარო სკოლებში) და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტის პოპულარიზაციის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

საქართველოს კადეტთა და იუნიორთა ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატების მომზადება;

ქართული სპორტის წარმატებების ამსახველი მასალების შეკრება, დაკომპლექტება, აღრიცხვა, დაცვა-შენახვა, შესწავლა და პოპულარიზაცია;

ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალ „თბილისი-2015-ისათვის“ სპორტის 9 სახეობაში შესაბამისი სპორტული რეზერვის მომზადება.

#### 8.6 სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 03)

საქართველოში მცხოვრები წამყვანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების, ნაკრებების მომსახურე პერსონალის, ოლიმპიური ჩემპიონების, საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულების, ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების დახმარება და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საწვრთნელი პროცესის წარმართვაში ხელის შეწყობა.

8.7 ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 04)

სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფო მხარდაჭერა და წახალისება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტიანად ხარჯვის ორგანიზება, ქართველი ახალგაზრდების ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ფორმირება და სრულყოფა;

ახალგაზრდა და პოტენციურად მოგებიანი ბიზნესიდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა;

პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი-2012“-ის ფარგლებში კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების სხვადასხვა აქტივობაში ჩართვა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, სხვადასხვა მიმართულებით ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება;

პროგრამა „პატრიოტის“ ფარგლებში ანაკლიაში, შაორის ტბასთან და ჰაწვალში (მესტია) არსებულ პატრიოტთა საერთაშორისო ახალგაზრდულ ბანაკებში ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა;

ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ინტერესების განვითარების მიზნით შესაბამისი პროცესის ორგანიზება, სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვის ხელშეწყობა, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა, საინიციატივო ჯგუფებისათვის მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებების, ახალგაზრდული დღეების, თამაშობების ორგანიზებაში დახმარების გაწევა, ბავშვებისა და ახალგაზრდების საერთაშორისო ურთიერთობებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა და ამ მიზნით გაცვლითი პროგრამების განხორციელება.

8.8 სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი (პროგრამული კოდი 42 00)

საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ფილმების, სპორტული ღონისძიებების, ასევე გადაცემების (მათ შორის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების) მომზადება და მათი გაშუქების უზრუნველყოფა.

8.9 საქართველოს საპატრიარქო (პროგრამული კოდი 45 00)

ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდის მიზნით დაფინანსდება საპატრიარქოს 70-ზე მეტი საგანმანათლებლო-კულტურული და საქველმოქმედო ორგანიზაცია საქართველოს სხვადასხვა (მათ შორის, მაღალმთიან) რეგიონში, კერძოდ, სასულიერო აკადემიები და სემინარიები, უნივერსიტეტი, სკოლა-გიმნაზიები, დედათა და ბავშვთა სახლები, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონები, სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი, პროფესიული კოლეჯი და სახელობო სასწავლებლები.

სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტებია ქვეყნის საგარეო ურთიერთობების წარმატებულად წარმართვა, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია და გლობალური უსაფრთხოების მხარდაჭერა;

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ინტერესების გატარებას. ევროკავშირთან თანამშრომლობის ჭრილში პრიორიტეტული იქნება ასოცირების შეთანხმებაზე ინტენსიური მუშაობა, რომელიც მოემსახურება საქართველოში „ოთხი თავისუფლების პრინციპის“ უფრო ფართოდ გავრცელებას;

სახელმწიფო ასევე უზრუნველყოფს უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვას, ოკუპანტი სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის უზრუნველყოფას, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცებას, ევროპის ქვეყნებთან ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაღრმავებას და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიმართ მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

#### 9.1 საგარეო პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 28 01)

საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ინტერესების გატარება, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელება და დასახული ამოცანების შესრულება;

საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით საქართველოს დეოკუპაციისა და ოკუპანტი სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის უზრუნველყოფა, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება;

რუსეთზე საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის გაძლიერების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა მან სრულად შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება;

ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერება;

საქართველოს ნატო-ში გაწევრების პროცესის ხელშეწყობა;

ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიმართ მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის პროცესში მისი როლის გაზრდა;

ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის აუზის, აზიის, აფრიკისა და ოკეანეთის სახელმწიფოებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარება;

სუამისა და „ბისეკის“ ფორმატებში რეგიონული და რეგიონთაშორისი თანამშრომლობის გაღრმავება და კონკრეტული პროექტების განხორციელება;

ქართული პროდუქციისათვის ახალი ბაზრების მოპოვება, ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვა;

უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა, მათთვის შეღავათიანი პირობების შექმნა და მათი სოციალური უსაფრთხოების დონის ამაღლება.

#### 9.1.1 საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)

საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების ქსელის გაფართოება;

ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის გაძლიერება;

საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელების მიზნით ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარება და ინტენსიფიკაცია;

მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს სრულფასოვანი მონაწილეობა და ამ პროცესებში დიპლომატიური ურთიერთობების აქტიური გამოყენება;

საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა ეფექტიანი მომსახურება და კრიზისულ სიტუაციებში მათთვის შესაბამისი დახმარების გაწევა, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით მუშაობის გააქტიურება.

#### 9.1.2 საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)

საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური წევრობა ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

#### 9.1.3 საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების თარგმნა, საქართველოში აკრედიტებულ უცხოურ ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება.

#### 9.2 ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 20 00)

ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით ნატო-სთან საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავება და წლიური ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელება, ნატო-ში ინტეგრაციის დინამიკის შენარჩუნების უზრუნველყოფა და ალიანსთან შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური დიალოგის წარმოება საბოლოო გაწვევების მიზნით;

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENP AP) წარმატებული განხორციელება;

„ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოსთან პარტნიორობის“ (Eastern Partnership) ფარგლებში და „პარტნიორობა მობილურობისათვის“ (Mobility Partnership) ფორმატში თანამშრომლობის გაღრმავება;

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ, რომელიც შეიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას (DC FTA), მოლაპარაკებების დასრულება და მისი განხორციელება;

საქართველოსა და ევროკავშირის შორის სავიზო რეჟიმის გამარტივება და რეადმისიის ხელშეკრულების ეფექტიანი განხორციელება;

ევროკავშირის დახმარების პროგრამებისა და ინსტრუმენტების სრულფასოვანი და მასშტაბური ამოქმედების ხელშეწყობა.

### 9.3 დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 21 00)

სამშობლოდან სხვადასხვა მიზეზის გამო წასული მოსახლეობის მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით მისთვის კონკრეტული პროექტების შეთავაზება და მათი პოპულარიზაცია;

ყოველწლიურად საქართველოში დიასპორის დღის აღნიშვნა და ამ დღისადმი მიძღვნილ კულტურულ ღონისძიებებში ქართული დიასპორის წარმომადგენელთა ჩართვა;

საზღვარგარეთ ქართული სახლების არეალის გაფართოება;

საქართველოში და საზღვარგარეთ ბიზნესფორუმების გამართვა, ქართული კომპანიების დიასპორულ ორგანიზაციებთან დაკავშირება, უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენებისათვის საინვესტიციო პროექტების შეთავაზება და საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ქართული დიასპორის კავშირების გამოყენება.

### 10 სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. მსოფლიო ბაზარზე სასურსათო პროდუქტების ფასების ზრდის პირობებში საქართველოს სოფლის მეურნეობა ახალი გამოწვევების წინაშე დგას. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წარმოების ინტენსიფიკაციას და ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისებას;

საქართველოს მთავრობის ამოცანაა ტრადიციულ კომლზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის პარალელურად მოდერნიზებული და სამეწარმეო პრინციპებზე დაფუძნებული პირველადი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა;

დაგეგმილია თანამედროვე ტიპის ლოჯისტიკის/საბითუმო სასაწყობო ცენტრის შექმნა, რომელიც მოემსახურება ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებს. ამ ცენტრის მეშვეობით მოხდება საქართველოში წარმოებული პროდუქციის შეფუთვა, სორტირება და გადამუშავება მისთვის ღირებულების დამატების მიზნით და მისი ექსპორტი რეალიზაციისათვის. ცენტრში არსებული სავაჭრო აგენტების სიმრავლე ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას როგორც ფასწარმოქმნის, ისე ექსპორტის მოცულობის მხრივ. ეს გარემოება დამატებით მოტივაციას გაუჩენს ადგილობრივ ფერმერებსა და მეწარმეებს;

სახელმწიფო ხელს შეუწყობს: სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი მიწის ფართობების ეკონომიკურ და სამეწარმეო აქტივობაში მაქსიმალურად ჩართვას; მემარცვლეობის განვითარებას ქვეყნის თვითუზრუნველყოფის ხარისხის ასამაღლებლად; სანერგე მეურნეობებისა და სადემონსტრაციო/სასწავლო ცენტრების შექმნას სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით; მეღვინეობის სფეროში ექსპორტის ზრდას, ბაზრების დივერსიფიკაციას და ქართული ღვინის ბრენდის შექმნას/პოპულარიზაციას, ღვინის ტურიზმის განვითარებას; მეცხოველეობის სფეროში პროდუქტიულობისა და ექსპორტის ზრდას სანაშენე და საკვებწარმოების განვითარებით და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვისცენტრების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდას;

ამავე დროს, დღის წესრიგში დგება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი, რისთვისაც დაიწყო მარცვლეული კულტურების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში მაღალი ხარისხის სერტიფიცირებული სათესლე მასალის შემოტანასა და კონსიგნაციით ფერმერებზე რეალიზაციას;

წარმოების ინტენსიფიკაციასთან ერთად ვითარდება სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა. სახელმწიფო ძირითად აქცენტს საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციაზე აკეთებს. ამასთანავე, მიმდინარეობს თანამედროვე საირიგაციო სისტემების, წვეთოვანი და პივოტური ირიგაციების ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს როგორც წყლის რესურსების ეკონომიურად მოხმარებას, ისე წარმოების ზრდას.

#### 10.1 სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 37 01)

ქვეყნის აგრარულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება ეროვნული ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდისათვის აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების შეძენა და ეფექტიანი გამოყენება;

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვისცენტრების (მექანიზაციის სერვისცენტრების) დაარსება; ექსტენციის სადგურების/კვლევითი ცენტრების დაფუძნება, სადაც ფერმერებს მიეცემა შესაძლებლობა, მიიღონ საკონსულტაციო მომსახურება მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე;

რეგიონებში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების განახლების ხელშეწყობა;



სალიზინგო კომპანიებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული პირებისათვის თანამედროვე ძირითადი საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

არსებული სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია და სათანადო ტექნიკის შეძენა;

მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმების შექმნა;

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს პოპულარიზაციის გაგრძელება;

ხილისა და ბოსტნეულის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოების სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა;

სასათბურე მეურნეობის რეაბილიტაცია;

მარცვლეულის წარმოების ინტენსიფიკაცია;

სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების გაცნობა-დათვალიერებინება და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის მიწოდება.

#### 10.1.1 სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 37 01 01)

	სხვა ხარჯები	295.2	295.2	0.0	0.0	418.8	418.8	0.0	0.0

პროგრამული კოდი	დასახელება	2010 წლის ფაქტი				2011 წლის ფაქტი			
		სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტები	კრედიტები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტები	კრედიტები

პროგრამული კოდი	დასახელება	2010 წლის ფაქტი				2011 წლის ფაქტი			
		სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტები	კრედიტები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტები	კრედიტები

პროგრამული კოდი	დასახელება	2010 წლის ფაქტი				2011 წლის ფაქტი			
		სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტები	კრედიტები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტები	კრედიტები

პროგრამული კოდი	დასახელება	2010 წლის ფაქტი				2011 წლის ფაქტი			
		სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტები	კრედიტები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტები	კრედიტები



პროგრამული კოდი	დასახელება	2010 წლის ფაქტი				2011 წლის ფაქტი			
		სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტები	კრედიტები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტები	კრედიტები

## თავი VII

### ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

#### მუხლი 16. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ფინანსური დახმარება

განისაზღვროს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები 829 980.0 ათასი ლარის ოდენობით, ცხრილი №1-ის შესაბამისად:

*ცხრილი №1  
ათას ლარებში*

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დეკლარებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	სპეციალური ტრანსფერი
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	7,500.0			7,500.0
თვითმმართველი ქალაქი თბილისი	445,000.0	418,444.9	1,730.0	24,825.1
აჭარის მუნიციპალიტეტი	895.1	882.1	13.0	
თვითმმართველი ქალაქი ბათუმი	105,000.0	40,975.5		64,024.5
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	6,224.5	6,224.5		
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	4,454.6	4,454.6		
ქედის მუნიციპალიტეტი	2,827.8	2,827.8		
შუახევის მუნიციპალიტეტი	3,461.6	3,461.6		
ხულოს მუნიციპალიტეტი	4,741.6	4,741.6		
ახმეტის მუნიციპალიტეტი	3,372.2	3,262.2	110.0	
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	5,350.8	5,200.8	150.0	
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	2,077.4	1,917.4	160.0	
თელავის მუნიციპალიტეტი	4,325.7	4,135.7	190.0	
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	4,841.0	4,646.0	195.0	
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	2,905.7	2,705.7	200.0	
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	3,337.0	3,197.0	140.0	
ყვარლის მუნიციპალიტეტი	3,434.6	3,319.6	115.0	
თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი	24,236.9	24,021.9	215.0	
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	6,095.6	5,865.6	230.0	
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	2,139.1	2,004.1	135.0	
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	5,217.8	5,067.8	150.0	
ზაღდათის მუნიციპალიტეტი	3,143.6	3,018.6	125.0	
ვანის მუნიციპალიტეტი	4,474.8	4,334.8	140.0	

აგტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დეკლარებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	სპეციალური ტრანსფერი
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	4,411.1	4,181.1	230.0	
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	4,699.5	4,559.5	140.0	
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	4,390.1	4,212.1	178.0	
საჩხერის მუნიციპალიტეტი	5,297.7	5,107.7	190.0	
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	3,687.2	3,557.2	130.0	
ხონის მუნიციპალიტეტი	4,677.6	4,529.6	148.0	
თვითმმართველი ქალაქი ფოთი	1,635.6	1,380.6	255.0	
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	16,681.4	16,401.4	280.0	
აბაშის მუნიციპალიტეტი	4,105.1	3,965.1	140.0	
მარტვილის მუნიციპალიტეტი	4,312.8	4,160.8	152.0	
მესტიის მუნიციპალიტეტი	2,088.5	1,968.5	120.0	
სენაკის მუნიციპალიტეტი	3,244.4	3,059.4	185.0	
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	3,213.0	3,060.0	153.0	
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	1,169.2	999.2	170.0	
ხობის მუნიციპალიტეტი	203.0	-	203.0	
გორის მუნიციპალიტეტი	11,004.8	10,739.8	265.0	
ერედვის მუნიციპალიტეტი	1,069.2	1,044.7	24.5	
ქუთაის მუნიციპალიტეტი	1,755.7	1,674.7	81.0	
ქარელის მუნიციპალიტეტი	5,670.9	5,465.9	205.0	
კასპის მუნიციპალიტეტი	2,748.8	2,578.8	170.0	
თილვის მუნიციპალიტეტი	1,082.5	1,072.5	10.0	
ხაშურის მუნიციპალიტეტი	4,684.5	4,464.5	220.0	
თვითმმართველი ქალაქი რუსთავი	15,184.9	14,684.9	500.0	
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	305.0	-	305.0	
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	4,345.1	4,085.1	260.0	
დმანისის მუნიციპალიტეტი	1,875.5	1,765.5	110.0	
თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	3,569.0	3,359.0	210.0	
მარნეულის მუნიციპალიტეტი	7,647.3	7,402.3	245.0	
წალკის მუნიციპალიტეტი	2,063.9	1,958.9	105.0	
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	4,561.6	4,341.6	220.0	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	7,332.4	7,110.4	222.0	
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	2,470.4	2,295.4	175.0	
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	180.0	-	180.0	

აგტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	სპეციალური ტრანსფერი
ადიგენის მუნიციპალიტეტი	2,545.7	2,415.7	130.0	
ასპინძის მუნიციპალიტეტი	1,427.9	1,307.9	120.0	
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	4,853.8	4,641.8	212.0	
ახალციხის მუნიციპალიტეტი	4,690.8	4,485.8	205.0	
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	2,801.3	2,639.3	162.0	
ახალგორის მუნიციპალიტეტი	1,849.2	1,761.3	87.9	
დუშეთის მუნიციპალიტეტი	1,906.7	1,801.7	105.0	
თიანეთის მუნიციპალიტეტი	1,933.0	1,803.0	130.0	
მცხეთის მუნიციპალიტეტი	1,134.2	834.2	300.0	
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	848.7	768.7	80.0	
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	2,364.3	2,249.3	115.0	
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	1,955.6	1,855.6	100.0	
ონის მუნიციპალიტეტი	2,134.4	2,039.4	95.0	
ცაგერის მუნიციპალიტეტი	3,109.3	2,959.3	150.0	
<b>სულ საქართველო</b>	<b>829,980.0</b>	<b>721,459.0</b>	<b>12,171.4</b>	<b>96,349.6</b>

დელეგირებულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებების, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება, ხოლო თვითმმართველი ქალაქი თბილისისათვის – აგრეთვე მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანება.

### მუხლი 17. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შეესების ღონისძიებები

საქართველოს რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით 2012 წლის განმავლობაში ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულებმა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი შეავსონ 53 400.0 ათასი ლარით, ცხრილი №2-ის შესაბამისად.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შესავსები თანხები
თვითმმართველი ქალაქი რუსთავი	4,450.0
ახმეტის მუნიციპალიტეტი	130.0
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	1,040.0
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	230.0
თელავის მუნიციპალიტეტი	930.0
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	480.0
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	330.0
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	930.0
ყვარლის მუნიციპალიტეტი	350.0
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	1,670.0
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	1,270.0
ვანის მუნიციპალიტეტი	850.0
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	1,660.0
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	1,460.0
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	1,330.0
საჩხერის მუნიციპალიტეტი	1,490.0
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	610.0
ხონის მუნიციპალიტეტი	1,040.0
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	4,860.0
აბაშის მუნიციპალიტეტი	1,430.0
მარტვილის მუნიციპალიტეტი	1,250.0
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	590.0
გორის მუნიციპალიტეტი	5,720.0
ქარელის მუნიციპალიტეტი	2,210.0
ხაშურის მუნიციპალიტეტი	2,290.0
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	2,510.0
დმანისის მუნიციპალიტეტი	1,070.0
თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	1,100.0
მარნეულის მუნიციპალიტეტი	3,310.0
წალკის მუნიციპალიტეტი	100.0
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	1,360.0
ადიგენის მუნიციპალიტეტი	630.0
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	1,240.0
ახალციხის მუნიციპალიტეტი	1,920.0
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	700.0

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შესავსები თანხები
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	500.0
ონის მუნიციპალიტეტი	360.0
<b>სულ საქართველო</b>	<b>53,400.0</b>

## თავი VIII მარეგულირებელი ნორმები

### მუხლი 18. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების განკარგვა

ამ კანონით დამტკიცებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების – „49 01 – საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა“, „49 02 – საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა“, „49 03 – საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მონაწილეობიდან გამომდინარე არსებული ვალდებულებები“, „49 04 – ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები“, „49 10 – საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა“ და „49 13 – დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები“ – საბიუჯეტო სახსრების განკარგვა განხორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ. ამასთანავე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით შესაძლებელია „49 13 – დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების“ ფარგლებში საბიუჯეტო სახსრების განმკარგავად განისაზღვრონ ამ კოდის ფარგლებში გათვალისწინებული შესაბამისი პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციები.

### მუხლი 19. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი, შესაბამისად, 50 000.0 ათასი და 50 000.0 ათასი ლარის ოდენობით, და მათი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 397 000.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) მიერ აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებისათვის საჭირო თანხები საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად გამოუყოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს.

4. განისაზღვროს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის მოცულობა 20 000 ათასი ლარით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ

მიღებული გადაწყვეტილებების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იძულებით ჩამოჭრილი თანხები ასახოს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდით გათვალისწინებულ ასიგნებებში.

5. საბიუჯეტო ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოების მოთხოვნას საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ან/და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე საქართველოს მთავრობის ან/და საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე წარადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

#### **მუხლი 20. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა**

განისაზღვროს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მოცულობა 50 000.0 ათასი ლარით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

#### **მუხლი 21. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობა**

განისაზღვროს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის 5 000.0 ათასი ლარი და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

#### **მუხლი 22. დავალიანებების დაფარვა**

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2012 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

#### **მუხლი 23. სახელმწიფო ვალი**

1. სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 309 834.0 ათასი ლარი:

ა) ძირითადი თანხის დაფარვა – 120 926.0 ათასი ლარი, მათ შორის:

– ორმხრივი კრედიტებისათვის – 53 000.4 ათასი ლარი;

– მრავალმხრივი კრედიტებისათვის – 67 925.6 ათასი ლარი;

ბ) პროცენტის გადახდა – 188 908.0 ათასი ლარი, მათ შორის:

– ორმხრივი კრედიტებისათვის – 54 754.5 ათასი ლარი;

– მრავალმხრივი კრედიტებისათვის – 67 460.4 ათასი ლარი;

– სახელმწიფოს მიერ საგარეო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულებების მომსახურებისათვის – 66 693.1 ათასი ლარი.



2. უფლება მიეცეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამ კანონით საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, კრედიტორი ქვეყნის მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით განახორციელოს საქართველოს იურიდიული პირებისათვის აღნიშნული სახსრებიდან თანხების ანაზღაურება ან შესაბამისი პროგრამების დაფინანსება ამ იურიდიული პირების მიერ კრედიტორი ქვეყნისათვის საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ანგარიშში პროდუქციის რეალიზაციისათვის და მომსახურების გაწევისათვის.

3. „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკისთვის გადასახდელი პროცენტის მოცულობა განისაზღვროს 48 198.3 ათასი ლარით, ხოლო დასაფარავი ძირითადი თანხის მოცულობა – 35 000.0 ათასი ლარით.

4. „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ 2011 წლის 15 მარტს გამოშვებული 560 846.0 ათასი ლარიდან სახელმწიფო ობლიგაციის განახლება 520 846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 6 პროცენტი სარგებლის გადახდით, და 40 000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, წლიური 12 პროცენტი სარგებლის გადახდით.

5. „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ 2008 წლის 15 მარტს გამოშვებული სახელმწიფო ობლიგაციების ღია ბაზრის ოპერაციებისათვის 7 000.0 ათასი ლარის მოცულობით დაფარვა, 2009 წლის 15 მარტს გამოშვებული სახელმწიფო ობლიგაციების ღია ბაზრის ოპერაციებისათვის 17 000.0 ათასი ლარის მოცულობით დაფარვა და 2010 წლის 15 მარტს გამოშვებული სახელმწიფო ობლიგაციების ღია ბაზრის ოპერაციებისათვის 11 000.0 ათასი ლარის მოცულობით დაფარვა.

6. სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით საშინაო ვალდებულების ცვლილება განისაზღვროს 100 000.0 ათასი ლარის წმინდა ზრდით. სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვება განახორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების დაფარვის აღრიცხვა განახორციელოს ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამისი მუხლის შემცირების გზით.

7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების ნაცვლად გამოიყენოს

ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთი. ამასთანავე, სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრების წმინდა მოცულობა და მათი გამოშვების ნაცვლად ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთის გამოყენება ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 100 000.0 ათას ლარს.

**მუხლი 24. თანამდებობრივი სარგოები, პრემიები, დანამატები და დახმარებები**

1. უფლება მიეცეთ საქართველოს მინისტრებსა და სახელმწიფო მინისტრებს, მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების აპარატების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხები და თანამდებობრივი სარგოები განსაზღვრონ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით. საქართველოს მთავრობის კანცელარიის საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ სარგოებს განსაზღვრავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას საჭიროებს აგრეთვე ცვლილებები დამტკიცებულ საშტატო ნუსხებსა და თანამდებობრივ სარგოებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განხორციელებული ცვლილებების შედეგად უცვლელი რჩება საშტატო რიცხოვნობა, თანამდებობათა დასახელებები და თანამდებობრივი სარგოები.

3. 2012 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებზე პრემიები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დანამატები და დახმარებები გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. ამასთანავე, 2012 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებები უფლებამოსილი არიან გაზარდონ მათთვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არა უმეტეს იმავე მუხლით დამტკიცებული ასიგნების 1/12-ისა.

4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მხარჯავ დაწესებულებებს უფლება აქვთ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულება გაავრცელონ მხოლოდ იმ მოსამსახურეებზე, რომლებზედაც 2006 წლის 1 იანვრამდე ვრცელდებოდა აღნიშნული მუხლის მოქმედება.

5. საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულთათვის პრემიები, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების შესაბამისად, შესაძლებელია გაიცეს საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

**მუხლი 25. შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა, მათი შრომის ანაზღაურება და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება**

1. საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საშტატო რიცხოვნობის 2%-ს. იმ ორგანიზაციებში, სადაც საშტატო რიცხოვნობის 2% შეადგენს 5 ერთეულზე ნაკლებს, ხელშეკრულებით დაქირავებულთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ერთეულს.

2. შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციაში შტატით გათვალისწინებული თანამშრომლების საშუალო შრომის ანაზღაურებას.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობრივ სარგოს.

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის შტატით გათვალისწინებული თანამშრომლების საშუალო თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს 1 500 ლარს.

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის საპრემიო ფონდის წლიური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების წლიური ოდენობის 20%-ს.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე, ასევე იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით ითვლებიან რელიგიურ ორგანიზაციებად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – საზოგადოებრივ მაუწყებელზე და იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, რომელთა საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული დაფინანსება არ აღემატება მათი საერთო შემოსულობების 25%-ს.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებიდან გამონაკლისი შესაძლებელია დაშვებულ იქნეს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.

**მუხლი 26. სახელმწიფო შესყიდვები**

უფლება მიეცეთ საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ამ მუხლის ამოქმედებისთანავე დაიწყონ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების განხორციელების პროცედურები.

**მუხლი 27. შეზღუდვები საქართველოს სამინისტროების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯის გაწევაზე**

1. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია შეაჩეროს საქართველოს სამინისტროებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში

გადახდის განხორციელება საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდებისა და მუხლების მიხედვით.

2. საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის სხვა მიზნით გამოყენების საკითხი საქართველოს სამინისტროებმა უნდა დააყენონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული ეკონომიის ამ კანონით გათვალისწინებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში მიმართვის თაობაზე. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში მიმართული თანხების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონით დამტკიცებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობის 2%-ს.

**მუხლი 28. წლის განმავლობაში მიღებული ფულადი გრანტები და მიზნობრივი დაფინანსება**

სამინისტროებისა და უწყებების მიერ ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული სახსრების აღრიცხვა და ხარჯვა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად და ამ სახით მიღებული შემოსავლები და გაწეული გადასახდელები აისახოს საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშსა და ანგარიშგებაში.

**მუხლი 29. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების შემოსულობათა ხარჯვა**

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების ხარჯვა განხორციელდეს ადგილზე, შესაბამისი წარმომადგენლობისა და დაწესებულებისათვის ამ კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

**მუხლი 30. ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვა**

საქართველოს მთავრობამ 2012 წლის 1 აპრილამდე განსაზღვროს ის საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომლებიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ

თავიანთი 2012 წლის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**მუხლი 31. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსება**

1. რეგიონებში წყალმომარაგების მხარდაჭერის ღონისძიებების დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ამ კანონით მისთვის დამტკიცებული ასიგნებებიდან 14 000.0 ათასი ლარი გადაურიცხოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას – „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ამ კანონით მისთვის დამტკიცებული ასიგნებებიდან 750.0 ათასი ლარი მიმართოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების – „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ კაპიტალის გასაზრდელად.

**მუხლი 32. საქართველოს პარლამენტის მიერ ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსება**

უფლება მიეცეს საქართველოს პარლამენტს, პარლამენტის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ამ კანონით მისთვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში დააფინანსოს დაკრძალვასთან და სასაფლაოს მოწყობასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება.

**მუხლი 33. საგადასახადო ომბუდსმენის აპარატის დაფინანსება**

საქართველოს მთავრობის კანცელარიამ ამ კანონით მისთვის დამტკიცებული ასიგნებებიდან უზრუნველყოს საგადასახადო ომბუდსმენის საქმიანობისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

**მუხლი 34. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსება**

1. უფლება მიეცეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, 2011 წელს „ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით გათვალისწინებული ასიგნებებით შესრულებული სამუშაოების დაფინანსება, რომელთა უწყვეტი განხორციელებაც აუცილებელია შეიარაღებული ძალების აღმშენებლობისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, განახორციელოს ამ კანონით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის „ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

2. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევაში და დაწესებული ლიმიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების (ერთეულების) მიერ შესასყიდ საქონელზე, სამუშაოსა და მომსახურებაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის ამავე აქტით დადგენილი სტრუქტურული ქვედანაყოფები (ერთეულები) ითვლებიან შემსყიდველ ორგანიზაციებად და ეკისრებათ სახელმწიფო შესყიდვების

შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა.

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსება (მათ შორის, შრომის ანაზღაურების და მუშაკთა სოციალური დაცვის მიზნით ხარჯების გაწევა) ან/და შესაბამისი ქონებით უზრუნველყოფა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს ცენტრალიზებულად, ამ კანონით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

**მუხლი 35. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები**

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ამ კანონით „ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის“ პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან 27 000.0 ათასი ლარი და „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან 5 000.0 ათასი ლარი მიმართოს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ამ კანონით „სახელმწიფო ქონების მართვის“ პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან 37 000.0 ათასი ლარი მიმართოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების – „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ კაპიტალის გასაზრდელად, კოპიტნარის აეროპორტის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაფინანსების მიზნით, ხოლო 1 000.0 ათასი ლარი – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების – „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ კაპიტალის გასაზრდელად.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატმა და საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საწარმოთა მართვის სააგენტომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების ამოქმედებამდე თავიანთ მომუშავეთა რიცხოვნობა განსაზღვრონ ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული მომუშავეთა რიცხოვნობის ფარგლებში.

**მუხლი 36. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ამ კანონით პროგრამისათვის „ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მისი ფარგლების გარეთ“ გათვალისწინებული ასიგნებებიდან 20 000.0 ათასი ლარი მიმართოს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

**მუხლი 37. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამ კანონით „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლების“, „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის“, „სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციის“ და „რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების ათვისების ხელშეწყობის“ პროგრამებისათვის გათვალისწინებული ასიგნებები განკარგოს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

**მუხლი 38. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები**

1. 2012 წლისათვის ორგანიზებულად განსახლებული ერთი დევნილის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დაფინანსება თვეში განისაზღვროს ქალაქ თბილისში 13.48 ლარით, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში – 12.98 ლარით. აღნიშნული დაფინანსება ცენტრალიზებულად განახორციელოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ.

2. დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯები (მათ შორის, ობიექტებში განსახლებულ დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა მიერ მოხმარებული წყლის, ნარჩენების გატანის, ასენიზაციისა და დეზინფექცია-დერატიზაციის, ჩასახლების ობიექტებში მომსახურებისა და მიმდინარე შეკეთების სხვა ხარჯები) ერთ დევნილზე, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე თვეში განისაზღვროს ქალაქ თბილისში არა უმეტეს 10.2 ლარით, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში – არა უმეტეს 5 ლარით. აღნიშნულის დაფინანსება განხორციელდეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად. ხელშეკრულების პირობებს და მის გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციას ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

**მუხლი 39. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები**

1. ამ კანონით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელ ცალკეულ ღონისძიებებში გაგრძელდეს და, აუცილებლობის შემთხვევაში, შემოღებულ იქნეს ღონისძიებათა ნაწილის ანაზღაურება მოსახლეობის მიერ თანაგადახდის პრინციპით. თანაგადახდის წესს, ფორმასა და მოცულობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

2. ამ კანონით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებისთვის – „სოციალური დაცვა და საპენსიო

უზრუნველყოფა“ და „ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა“ – გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა დაფინანსების, თანადაფინანსების, ანგარიშსწორების წესებსა და ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. „საპენსიო უზრუნველყოფის“ ფარგლებში:

ა) გაიცეს სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია და საპენსიო დანამატი;

ბ) უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისა და პირების ქვემოთ მითითებულ კატეგორიებზე (მათ შორის, დევნილთა ოჯახებზე) 2007 წლის 1 იანვრამდე დანიშნული ყოველთვიური საოჯახო დახმარების გაცემა გაგრძელდეს შემდეგი ოდენობებით:

ბ.ა) მარტოხელა არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიან ოჯახზე – 22 ლარი, არამომუშავე პენსიონერთა ორ- და მეტსულიან ოჯახზე – 35 ლარი;

ბ.ბ) დედ-მამით ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე, მეურვის შრომისუნარიანობის მიუხედავად, ერთ ბავშვზე – 22 ლარი;

ბ.გ) არამომუშავე, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლოეებზე, ერთ პირზე – 22 ლარი;

ბ.დ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე, ერთ ბავშვზე – 22 ლარი;

ბ.ე) მრავალშვილიან ოჯახზე, რომელსაც ჰყავს 7 ან 7-ზე მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი, – 35 ლარი;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დახმარება შეუწყდეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფ იმ ოჯახებს, რომლებიც მოხვდებიან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით იდენტიფიცირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და დაენიშნებათ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით გათვალისწინებული საარსებო შემწეობა. ამასთანავე, შეწყვეტილი საოჯახო დახმარება აღდგენას აღარ ექვემდებარება;

დ) გაიცეს ყოველთვიური სახელმწიფო დახმარება:

დ.ა) სახელმწიფო პენსიის/სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ მარტოხელა, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ შრომისუნარო მშობელზე 55 ლარის ან მარჩენალდაკარგულზე გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობით;

დ.ბ) „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა იმ მშობელზე, რომელსაც დაეღუპა 2 ან 2-ზე მეტი შვილი, – 55 ლარის ოდენობით (თითოეულ გარდაცვლილ შვილზე);



ე) გაიცეს საყოფაცხოვრებო სუბსიდია „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილების შესაბამისად;

ვ) დაფინანსდეს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა ღონისძიებები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო დახმარების ადმინისტრირება და მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირება გაგრძელდეს „სახელმწიფო დახმარების ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 11 იანვრის №4/ნ ბრძანების შესაბამისად.

5. 2012 წლის 1 სექტემბრამდე განისაზღვროს სახელმწიფო პენსიის შემდეგი ოდენობები:

ა) მინიმალური სახელმწიფო პენსია – 55 ლარი;

ბ) საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსია – 100 ლარი;

გ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დანიშნული სახელმწიფო პენსია – 100 ლარი;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის (გარდა მკვეთრად გამოხატულისა) სტატუსის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსია – 70 ლარი;

ე) მეორე მსოფლიო ომის:

ე.ა) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 129 ლარი;

ე.ბ) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 80 ლარი;

ე.გ) მონაწილეებისთვის – 80 ლარი;

ვ) ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების:

ვ.ა) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 129 ლარი;

ვ.ბ) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 80 ლარი;

ზ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების:

ზ.ა) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 84 ლარი;

ზ.ბ) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 70 ლარი;

თ) ამ კანონით გათვალისწინებულის გარდა, სხვა სახელმწიფო პენსიის ოდენობები (მათ შორის, დანამატები) – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. 2012 წლის 1 სექტემბრიდან:

ა) 60-დან 67 წლამდე ქალებისა და 65-დან 67 წლამდე მამაკაცებისათვის „საპენსიო პაკეტი“ განისაზღვროს 125 ლარის ოდენობით;

ბ) 67 წლის და მეტი ასაკის პირთათვის „საპენსიო პაკეტი“ განსაზღვროს 140 ლარის ოდენობით;

გ) „საპენსიო პაკეტში“ შემავალი ფულადი და არაფულადი კომპონენტების გადანაწილების პირობები რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

7. „სოციალური დახმარებების“ ფარგლებში:

ა) გაგრძელდეს „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით გათვალისწინებული საარსებო შემწეობისა და რეინტეგრაციის შემწეობის ანაზღაურების გაცემა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით;

ბ) გაგრძელდეს დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობების გაცემა. ამასთანავე, ორგანიზებულად განსახლებულ ერთ დევნილსა და ლტოლვილზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა განსაზღვროს 22 ლარის ოდენობით, ხოლო კერძო სექტორში განსახლებულ ერთ დევნილსა და ლტოლვილზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა – 28 ლარის ოდენობით;

გ) გაგრძელდეს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარებების გაცემა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და პირობებით;

დ) დაფინანსდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ღონისძიება;

ე) დაფინანსდეს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა ღონისძიებები;

ვ) 2012 წლის 1 სექტემბრიდან დაფინანსდეს „სოციალურ პაკეტში“ შემავალი ფულადი გასაცემელი/გასაცემლები;

ზ) „სოციალურ პაკეტში“ შემავალი ფულადი და არაფულადი კომპონენტების გადანაწილების პირობები რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირების გარდა, ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ, სხვა კატეგორიის პენსიის მიმღებ ბენეფიციარებზე „სოციალური პაკეტის“ გავრცელების მიზნით საქართველოს მთავრობამ 2012 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტების მომზადება.

9. უფლება მიეცეს საქართველოს მთავრობას, განსაზღვროს 2011 წლის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ის სახელმწიფო პროგრამები/მათი ღონისძიებები/მოცულობები, რომელთა განხორციელებაც უწყვეტად გაგრძელდება 2012 წლის 1 იანვრიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2012 წლის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე და ამ პროგრამებით გათვალისწინებული მიმწოდებლების გამოვლენამდე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ან ვაუჩერის პირობების გათვალისწინებით.

10. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისა და მათი კომპონენტების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე გაგრძელდეს 2011 წლის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ის ღონისძიებები, რომელთა უწყვეტი განხორციელებაც აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, და ხელშეკრულებები გაფორმდეს იმავე მომწოდებლებთან. ამასთანავე, აღნიშნულის შესახებ ეცნობოს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

11. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 2011 წელს შესრულებული სამუშაოები დაფინანსდეს ამ კანონით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის დამტკიცებული ასიგნებებიდან.

12. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 2011 წელს გაცემული ვაუჩერები (შესაბამისი ვაუჩერის პირობების გათვალისწინებით) და „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ ფარგლებში საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ვერ დაფინანსდა 2011 წელს, დაფინანსდეს ამ კანონით შესაბამისი პროგრამებისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

13. ამ კანონით დამტკიცებული პროგრამული კლასიფიკაციის კოდის „35 03 02 02 – იმუნიზაცია“ ფარგლებში ვაქცინებისა და შპრიცების შესყიდვა განხორციელდეს გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით, გამარტივებული შესყიდვით, ხოლო იმ ვაქცინებისა და შპრიცების შესყიდვა, რომელთა შესყიდვაც ვერ ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით, – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

14. გულის ქირურგიასთან დაკავშირებული ღონისძიებები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული სრულწლოვანი მოსახლეობისათვის დაფინანსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

15. ქალაქ თბილისში სასწრაფო დახმარების ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები დაფინანსდეს ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამისათვის ამ კანონით დამტკიცებული ასიგნებებიდან „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების,

საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ ფარგლებში სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა შეთანხმდეს საქართველოს მთავრობასთან.

**მუხლი 40. ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება**

1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისათვის ანაზღაურდეს 2011 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 15 მაისამდე პერიოდში თითოეულ აბონენტზე თვეში 700 მ<sup>3</sup> (მაისში – 350 მ<sup>3</sup>) ბუნებრივი აირის საფასური, გამანაწილებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი და მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სათანადოდ დამოწმებული აბონენტების ნუსხის მიხედვით, ხოლო 2012 წლის 15 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე პერიოდში – თითოეულ აბონენტზე თვეში არა უმეტეს 700 მ<sup>3</sup>-ისა (ოქტომბერში – არა უმეტეს 350 მ<sup>3</sup>-ისა).

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების (სეთურნის, ჯაღმიაწის, ზაქანის, ხადის და კაიშაურნის) მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება ანაზღაურდეს 2011 წლის 1 დეკემბრიდან 2012 წლის 15 მაისამდე და 2012 წლის 15 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე პერიოდებში – თითოეულ აბონენტზე თვეში არა უმეტეს 700 მ<sup>3</sup>-ისა (მაისსა და ოქტომბერში – არა უმეტეს 350 მ<sup>3</sup>-ისა).

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შეღავათები გავრცელდეს იმ აბონენტებზე, რომლებიც ირიცხებოდნენ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ჯაღმიაწი, ზაქანი, ხადა და კაიშაურნი) 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

**მუხლი 41. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები**

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ამ კანონით მისთვის დამტკიცებული ასიგნებებიდან 14 000.0 ათასი ლარი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიმართოს III არხის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად.

**მუხლი 42. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები**

2012 წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ადმინისტრაციისათვის ამ კანონით დამტკიცებული ასიგნებებიდან თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე გასცეს ერთჯერადი დახმარებები.